

EIB-ის შიდა კლასიფიკაციის დონე: კორპორატიული გამოყენებისთვის

ხელშეკრულების ნომერი (FI N °) 92.411  
საოპერაციო ნომერი (Serapis N °) 2020-0408

ზოჭკოვანი ქსელი საქართველოს სოფლებისთვის

ფინანსური ხელშეკრულება

საქართველოსა

და

ევროპის საინვესტიციო ბანკს

შორის

თბილისი, 25 ნოემბერი 2021  
ლუქსემბურგი, 17 ნოემბერი 2021

ვინაიდან: .....	7
ინტერპრეტაცია და განმარტებები.....	7
მუხლი 1 .....	22
1.1 კრედიტის ოდენობა .....	22
1.2 ჩამორიცხვის პროცედურა .....	22
1.2.ა ტრანშები.....	22
1.2.ბ ჩამორიცხვის შეთავაზება .....	22
1.2.გ ჩამორიცხვაზე თანხმობა .....	22
1.2.დ ჩამორიცხვის ანგარიში.....	23
1.3 ჩამორიცხვის ვალუტა.....	23
1.4 ჩამორიცხვის პირობები .....	23
1.4.ა ჩამორიცხვის შეთავაზების პირველი მოთხოვნის წინაპირობა .....	23
1.4.ბ პირველი ტრანში .....	24
1.4.გ ყველა ტრანში.....	25
1.5 ჩამორიცხვის გადადება .....	27
1.5.ა გადადების საფუძვლები.....	27
1.5.ბ 6 თვით (ექვსი) გადადებული ჩამორიცხვის გაუქმება .....	27
1.6 გაუქმება და შეჩერება.....	28
1.6.ა მსესხებლის უფლება გაუქმებაზე .....	28
1.6.ბ ბანკის უფლება შეჩერებაზე და გაუქმებაზე .....	28
1.6.გ ანაზღაურება ტრანშის შეჩერებაზე და გაუქმებაზე .....	28
1.7 სესხის ვადის გასვლის შემდგომ გაუქმება.....	29
1.8 ადმინისტრირების გადასახადი.....	30
1.9 1.5 და 1.6 მუხლების მიხედვით გადასახდელი თანხები.....	30
მუხლი 2 .....	30
2.1 სესხის თანხა .....	30
2.2 გადახდების ვალუტა.....	30
2.3 ბანკის მიერ დადასტურება .....	30
მუხლი 3 .....	31
3.1 საპროცენტო განაკვეთი.....	31
3.1.ა ფიქსირებული განაკვეთის ტრანშები.....	31
3.1.ბ ცვლადი განაკვეთის ტრანშები .....	31
3.2 პროცენტი ვადაგადაცილებულ თანხაზე .....	31
3.3 ბაზრის მოშლის შემთხვევა .....	32
მუხლი 4 .....	33
4.1 ჩვეულებრივი გადახდა.....	33
4.2 ნებაყოფლობით წინსწრებით გადახდა.....	33

4.2.ა	წინსწრებით გადახდის არჩევა .....	33
4.2.ბ	წინსწრებით გადახდის ანაზღაურება .....	33
4.2.გ	წინსწრებით გადახდის მექანიზმი .....	34
4.2.დ	ადმინისტრაციული გადასახდელი .....	34
4.3	სავალდებულო წინასწარი გადახდა და გაუქმება.....	34
4.3.ა	წინასწარი გადახდის შემთხვევები .....	34
4.3.ბ	წინსწრებით გადახდის მექანიზმები .....	38
4.3.გ	წინსწრებით გადახდის ანაზღაურება .....	38
4.4	ზოგადი .....	39
4.4.ა	მუხლი 10-ის არ შეზღუდვა .....	39
4.4.ბ	არა ხელახლა სესხება .....	39
მუხლი 5 .....		39
5.1	დღეების დათვლის პირობა .....	39
5.2.	გადახდის დრო და ადგილი .....	39
5.3	მსესხებლის მიერ თანხის არ ცვლილებები.....	40
5.4	გადახდის სისტემის შეფერხება.....	40
5.5.	მიღებული თანხის გამოყენება .....	40
5.5.ა	ზოგადი.....	40
5.5.ბ	ნაწილობრივი გადახდები .....	40
5.5.გ	ტრანშის თანხების განაწილება .....	40
მუხლის 6 .....		41
ა. პროექტის ვალდებულებები.....		41
6.1	სესხის გამოყენება და სხვა თანხების ხელმისაწვდომობა .....	41
6.2	პროექტის დასრულება.....	42
6.3	პროექტის გაზრდილი ღირებულება.....	42
6.4	შესყიდვის პროცედურა .....	42
6.5	პროექტის ვალდებულებების გაგრძელება.....	42
ბ. ზოგადი ვალდებულებები .....		44
6.6	კანონმდებლობასთან შესაბამისობა.....	44
6.7	ცვლილება საქმიანობაში .....	44
6.8	შეერთება/შერწყმა .....	44
6.9	წიგნები და ჩანაწერები.....	44
6.10	ერთიანობა.....	44
6.10.ა	აკრძალული ქმედება.....	44
6.10.ბ	სანქციები .....	45
6.10.გ	შესაბამისი პირები .....	45
6.11	ზოგადი წარმომადგენლობები და გარანტიები.....	46
მუხლი 7 .....		47
7.1	თანაბარუფლებიანობის რიგითობა.....	47

7.2 დამატებითი უსაფრთხოება.....	47
7.3 დებულებები ჩართვით.....	47
<b>მუხლი 8</b> .....	<b>49</b>
8.1 პროექტთან და პრომოუტერთან დაკავშირებული ინფორმაცია .....	51
8.2 მსესხებელთან და პრომოუტერთან დაკავშირებული ინფორმაცია .....	51
8.3 ბანკის ვიზიტები, წვდომის უფლებები და გამოძიება.....	51
<b>მუხლი 9</b> .....	<b>53</b>
9.1 გადასახადები, გადასახდელები და მოსაკრებლები.....	53
9.2 სხვა ხარჯები.....	53
9.3 გაზრდილი ხარჯი, კომპენსაცია და ჩამოწერა .....	53
<b>მუხლი 10</b> .....	<b>54</b>
10.1 გადახდის მოთხოვნის უფლება .....	54
10.1.ა დაუყონებლივი მოთხოვნა .....	54
10.1.ბ მოთხოვნა, გამოსწორების თაობაზე შეტყობინების შემდეგ.....	54
10.2 კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებები .....	54
10.3 ანაზღაურება .....	54
10.3.ა ტრანშები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით .....	54
10.3. ბ ტრანშები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით . .....	54
10.3. გ ზოგადი .....	54
10.4 უარის არ თქმა . .....	54
<b>მუხლი 11</b> .....	<b>57</b>
11.1 მმართველი კანონმდებლობა.....	57
11.2 დავების გადაწყვეტა .....	57
11.3 მოქმედების ადგილი.....	59
11.4 გადასახდელი თანხების დადასტურება.....	59
11.5 მთლიანი შეთანხმება.....	59
11.6 იურიდიული ძალის არ ქონა .....	59
11.7 ცვლილებები.....	60
11.8 ასლები.....	60
<b>მუხლი 12</b> .....	<b>60</b>
12.1 შეტყობინებები .....	60
12.1.ა შეტყობინების ფორმა.....	60
12.1.ბ მისამართები.....	61
12.1.გ კომუნიკაციის დეტალების შეტყობინება .....	62
12.2 ინგლისური ენა .....	62
12.3 ხელშეკრულების ძალაში შესვლა .....	62

12.4	აღწერები, განრიგები და დანართები .....	63
	განრიგი ა .....	65
	განრიგი ბ .....	71
	განრიგი გ .....	79
	განრიგი დ .....	81

ეს ხელშეკრულება შედგენილია:

საქართველოსა, რომელიც მოქმედებს  
ფინანსთა სამინისტროს  
სახელით, გორგასლის ქუჩა 16, თბილისი,  
0104, საქართველო, წარმოდგენილი ლაშა  
ხუციშვილით, საქართველოს ფინანსთა  
მინისტრით,

("მსესხებელი")

ერთის მხრივ და

ევროპის საივესტიციო ბანკი, კონრად  
ადენაუერი 100, ლუქსემბურგი,  
ლუქსემბურგი L-2950, წარმოდგენილი  
ჯაკომო ლენსი ორლანდით სამმართველოს  
ხელმძღვანელი და ნინა ვან დორენით,  
სამმართველოს ხელმძღვანელი

("ბანკი")

მეორეს მხრივ.

ბანკი და მსესხებელი ერთად მოიხსენიებიან როგორც "მხარეები" და ნებისმიერი მათგანი  
არის "მხარე".

ვინაიდან:

ა) 2007 წლის 21 ივნისს, მსესხებელმა და ბანკმა ხელი მოაწერეს ჩარჩო ხელშეკრულებას, რომელიც არეგულირებს ბანკის საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე ("ჩარჩო ხელშეკრულება", რომელიც დროდადრო შეიძლება შესწორდეს, შეიცვალოს ან ჩანაცვლდეს). ჩარჩო ხელშეკრულება კვლავ მოქმედებს და ძალაშია ამ ხელშეკრულების მთელი პერიოდის განმავლობაში (როგორც ეს განსაზღვრულია ქვემოთ). ამ ხელშეკრულების ხელმოწერით, მსესხებელი აძლევს თავის ოფიციალურ თანხმობას ჩარჩო ხელშეკრულების შესაბამისად, რომ სესხის დაფინანსება განისაზღვროს ამ ჩარჩო ხელშეკრულების ფარგლებში. მსესხებელი ადასტურებს ბანკის სტატუსს, როგორც ყველაზე სასურველი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის სტატუსს, როგორც ეს გათვალისწინებულია ჩარჩო ხელშეკრულების მე-7 მუხლში.

ბ) საქართველო არის სახელმწიფო მხარე უცხოური საარბიტრაჟო ჯილდოების აღიარებისა და ძალში შესვლის კონვენციისა, რომელიც ხელმოწერილ იქნა ნიუ-იორკში 1958 წლის 10 ივნისს.

გ) მსესხებელმა აღნიშნა, რომ იგი ახორციელებს ოპტიკურ-ბოჭკოვანი სატელეკომუნიკაციო ქსელის შექმნასა და მშენებლობას საქართველოში რეგიონულ დონეზე 1000-მდე შორეული სოფლის დასახლების დასაკავშირებლად, როგორც ეს აღწერილია ტექნიკურ აღწერაში ("ტექნიკური აღწერა") განრიგი ა ("პროექტი"). პროექტს განახორციელებს ააიპ ოუფენ ნეტი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი ("პრომოუტერი"), მათ შორის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული სააგენტოს ("ComCom") და ააიპ ოუფენ ნეტს შორის 2020 წლის 24 დეკემბერს დადებული პროექტის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ ხელშეკრულების („პროექტის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ ხელშეკრულება“) შესაბამისად. მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ პრომოუტერი დაიცავს პროექტის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ ხელშეკრულების დებულებებს ნებისმიერ დროს.

დ) მსესხებელმა, რომელიც მოქმედებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით ("ფინანსთა სამინისტრო"), უნდა უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის კრედიტის (როგორც ეს განსაზღვრულია ქვემოთ) ხელმისაწვდომობა, სესხის თანხის გადაცემის ხელშეკრულების შესაბამისად ("სესხის თანხის გადაცემის ხელშეკრულება"), რომელიც უნდა დაიდოს ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და პრომოუტერს შორის.

ე) პროექტის საერთო ღირებულება, როგორც ბანკმა დაადგინა, შეადგენს 68 700 000 ევროს (სამოცდარვა მილიონი შვიდას ათასი ევრო) და მსესხებელმა განაცხადა, რომ იგი აპირებს პროექტის დაფინანსებას შემდეგნაირად:

წყარო	თანხა (ევრო მლნ)
ბანკისგან კრედიტი	34.00
საკუთარი სახსრები	0.70
სესხი რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორის ბანკისგან("IBRD")	34.00
<b>ჯამი</b>	<b>68.70</b>

ვ) (ე) თავში მოცემული დაფინანსების გეგმის შესასრულებლად, მსესხებელმა ბანკს სთხოვა 34,000,000.00 ევროს (34 მილიონი ევრო) ექვივალენტი კრედიტი, რომელიც განისაზღვრება ბანკის საკუთარი რესურსებიდან და 2014-2020 წლებისთვის ბანკის საგარეო სასესხო მანდატის შესახებ გადაწყვეტილების შესაბამისად ("მანდატი").

ზ) ევროკავშირის No 466/2014 / EU გადაწყვეტილების (i) შესაბამისად, რომელიც გამოქვეყნდა ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში 2014 წლის 8 მაისს No L 135, შესწორებული No 2018 / 412 / EU გადაწყვეტილებით და 2021 წლის 9 ივნისის ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს (EU) 2021/947 რეგულაციით, რომელიც ადგენს სამეზობლო, განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტს - გლობალური ევროპა, ევროპარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ გადაწყვიტეს ბანკისთვის გარანტიის მინიჭება ზარალის ანაზღაურებაზე იმ ფინანსური ოპერაციების ფარგლებში, რომელიც ხელს უწყობს ევროკავშირის ფარგლებს გარეთ ინვესტიციურ პროექტებს (გადაწყვეტილება) და (ii) ევროკავშირისა, წარმოდგენილი ევროკომისიის მიერ და ბანკს, რომელიც ახორციელებს გადაწყვეტილებას, შორის დაიდო ხელშეკრულება, რომ გადაუხდელობის შემთხვევაში, ევროკავშირი, გარანტიით, დაფარავს გარკვეულ გადასახადებს, რომლებიც ბანკმა არ მიიღო და ბანკის გამო ბანკის დაფინანსების ოპერაციებთან დაკავშირებით შესულ ხელშეკრულებაში, მათ შორის, მსესხებელთან ("ევროკავშირის გარანტია"). ამ ხელშეკრულების თარიღის მიხედვით (როგორც ეს განსაზღვრულია ქვემოთ), საქართველო უფლებამოსილი ქვეყანაა (როგორც ეს განსაზღვრულია ქვემოთ).

თ) ბანკმა მიიჩნია, რომ პროექტის დაფინანსება ხვდება მისი ფუნქციების ფარგლებში და შეესაბამება მისი მანდატის მიზნებს და ამ პუნქტებში მითითებული განცხადებებისა და ფაქტების გათვალისწინებით, გადაწყვიტა შეასრულოს მსესხებლის თხოვნა, რომ მას გამოუყოს აღნიშნული ფინანსური კონტრაქტის შესაბამისად 34,000,000 ევროს (ოცდაათობმეტი მილიონი ევრო) ექვივალენტი კრედიტი ("ხელშეკრულება"); იმ პირობით, რომ ბანკის სესხის ოდენობა, ნებისმიერ შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს (ე) პუნქტში მოცემული პროექტის მთლიანი ღირებულების 50% -ს (ორმოცდაათი პროცენტი).

ი) მსესხებელმა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკმა ("IBRD") გააფორმეს სასესხო შეთანხმება, რომელიც თარიღდება 2020 წლის 31 აგვისტოთი ("IBRD სასესხო შეთანხმება"), რომლის თანახმად, მსოფლიო ბანკი უზრუნველყოფს 35,700,000 ევროს ოდენობის სესხს (ოცდათხუთმეტი მილიონ შვიდი ათასი ევრო), რომლებიც გამოყენებული იქნება Log-In Georgia პროექტის დაფინანსების მიზნით, რომელიც შედგება, მათ შორის, პროექტისგან ("IBRD სესხი"). ბანკი და IBRD (ერთად "გამსესხებლები") შეთანხმდნენ, რომ IBRD იმოქმედებს როგორც წამყვანი საფინანსო ინსტიტუტი პროექტთან დაკავშირებით. გამსესხებლებმა ხელი მოაწერეს ან ხელს მოაწერენ თანამშრომლობის პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავს და აკონკრეტებს პირობებს და ახორციელებს შესრულების და მონიტორინგის ამოცანებს (რომელიც მოიცავს ბანკის მინიმალურ მოთხოვნებსა და სტანდარტებს, როგორც ეს გათვალისწინებულია შესყიდვების სახელმძღვანელოს 3.4.5 პუნქტით, ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის დაცვა და თანხის გაცემის წესები) ("PoC").

კ) წინამდებარე ხელშეკრულების დადებისას მსესხებელი ადასტურებს, რომ ბანკი შეიძლება იყოს ვალდებული დაიცვას სანქციები (როგორც ეს არის განსაზღვრული ქვემოთ) და რომ მას არ შეუძლია, ამიტომ სხვა პირობათა შორის, გახადოს სახსრები პირდაპირ ან ირიბად ხელმისაწვდომი სანქცირებული პირისთვის ან მის სასარგებლოდ (როგორც ქვემოთაა განსაზღვრული).

ლ) ბანკის წესდება ითვალისწინებს, რომ ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ მისი სახსრები მაქსიმალურად რაციონალურად იქნას გამოყენებული ევროკავშირის ინტერესების შესაბამისად; და გამომდინარე აქედან, ბანკის სასესხო ოპერაციების პირობები უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის შესაბამის პოლიტიკას.

მ) ბანკი მიიჩნევს, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკოლოგიური და სოციალური რისკების შემცირებაში, ადამიანის უფლებათა დარღვევის ჩათვლით, რაც დაკავშირებულია მის მიერ დაფინანსებულ პროექტებთან და ამრიგად ჩამოაყალიბა თავისი გამჭვირვალობის პოლიტიკა, რომლის მიზანია ბანკის ჯგუფის ანგარიშვალდებულების ამაღლება დაინტერესებული მხარეების მიმართ.

პერსონალური მონაცემების დამუშავება უნდა განხორციელოს ბანკმა, ევროკავშირის მოქმედი კანონის შესაბამისად, ინდივიდების დაცვის შესახებ, ევროკავშირის ინსტიტუტებისა და ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და ამ მონაცემების თავისუფლად გადაადგილებასთან დაკავშირებით.

ნ) ბანკი მხარს უჭერს საერთაშორისო და ევროკავშირის სტანდარტების განხორციელებას ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში და ხელს უწყობს საგადასახადო მმართველობის სტანდარტებს. მან დაადგინა პოლიტიკა და პროცედურები, რათა თავიდან იქნას აცილებული მისი სახსრების ბოროტად გამოყენების რისკი, რაც არის უკანონო ან შეურაცხყოფელი მოქმედი კანონმდებლობის მიმართ. ბანკის ჯგუფის განცხადება საგადასახადო თაღლითობების, გადასახადების თავიდან აცილების, გადასახადების აგრესიული დაგეგმვის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ ხელმისაწვდომია ბანკის ვებგვერდზე და რაც გთავაზობს შემდგომ მითითებებს ბანკის ხელშემკვრელი მხარეებისთვის.

ამდენად მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

## ინტერპრეტაცია და განმარტებები

### (ა) ინტერპრეტაცია

წინამდებარე ხელშეკრულებაში:

(ა) მითითებები მუხლებზე, აღწერებზე, განრიგებზე და დანართებზე, თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული, მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამის მუხლებზე და აღწერებზე, განრიგებზე და დანართებზე;

(ბ) მითითება „კანონზე“ და „კანონებზე“ ნიშნავს:

(i) ნებისმიერი მოქმედი კანონი და ნებისმიერი მოქმედი ხელშეკრულება, კონსტიტუცია, დებულება, კანონმდებლობა, განკარგულება, ნორმატიული აქტი, წესი, რეგულაცია, განჩინება, განკარგულება, დადგენილება, გადაწყვეტილება ან სხვა საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული ღონისძიება ან სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ნებისმიერ იურისდიქციაში, რომელიც არის სავალდებულო ან მოქმედი პრეცედენტული სამართალი; და

(ii) ევროკავშირის კანონმდებლობა;

(გ) მითითება "მოქმედი კანონი", "მოქმედი კანონები" ან "მოქმედი იურისდიქცია" ნიშნავს:

(i) კანონი ან იურისდიქცია, რომელიც გამოიყენება მსესხებლის მიმართ, მისი უფლებები და / ან ვალდებულებები (თითოეულ შემთხვევაში, რომელიც გამომდინარეობს ამ ხელშეკრულებიდან ან უკავშირდება ამას), მისი შესაძლებლობები და / ან აქტივები და / ან პროექტი; ან / და, როგორც ეს გამოიყენება

(ii) კანონი ან იურისდიქცია (ბანკის დებულების ჩათვლით თითოეულ შემთხვევაში), რომელიც გამოიყენება ბანკის მიმართ, მისი უფლებები, ვალდებულებები, შესაძლებლობები და / ან აქტივები;

(დ) მითითებები კანონის დებულებაზე ან ხელშეკრულებაზე არის მითითება ამ დებულების შესახებ, რომელიც შესწორებულია, შევსებულია ან ხელახლა ამოქმედებულია;

(ე) ნებისმიერ სხვა ხელშეკრულებაზე ან დოკუმენტზე მითითება არის მითითება სხვა ხელშეკრულებაზე ან დოკუმენტზე, რომელიც შესწორებულია, განახლდა, შევსებულია, ვრცელდება ან განახლდება;

(ვ) სიტყვები და გამოთქმები მრავლობით რიცხვში უნდა შეიცავდეს ერთეულს და პირიქით; და

(ზ) მითითება "თვეზე" ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება კალენდარული თვის ერთ დღეს და მთავრდება მომდევნო კალენდარული თვის რიცხვით შესაბამის დღეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახდის თარიღი განსაზღვრულია მუხლი 5.1 და განრიგი ბ-თი ან , თუ სხვაგვარად არაა გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებაში:

(i) თუ რიცხვით შესაბამისი დღე არ არის სამუშაო დღე, ეს პერიოდი მთავრდება მომდევნო სამუშაო დღეს იმ კალენდარული თვის განმავლობაში, რომელშიც ეს პერიოდი უნდა დასრულდეს, თუ არსებობს, ან თუ არა, უშუალოდ წინა სამუშაო დღეს; და

(ii) თუ კალენდარულ თვეში არ არის რიცხობრივად შესაბამისი დღე, რომელშიც ეს ვადა უნდა დასრულდეს, ეს ვადა მთავრდება ამ კალენდარული თვის ბოლო სამუშაო დღეს.

(ბ) განმარტებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში:

"მიღებული ტრანში" ნიშნავს ჩამორიცხვის შეთავაზებასთან მიმართებაში ტრანშს, რომელიც სათანადოდ მიღებულია მსესხებელის მიერ მისი პირობების შესაბამისად ჩამორიცხვის მიღების ბოლო ვადის დადგომის დღეს ან მანამდე.

"შეთანხმებული გადადებული ჩამორიცხვის თარიღი" აქვს მინიჭებული მნიშვნელობა 1.5.ა (2) (ბ) მუხლში.

„უფლებამოსილება“ ნიშნავს უფლებამოსილებას, ნებართვას, თანხმობას, მოწონებას, რეზოლუციას, ლიცენზიას, გამოწვევას, ნოტარიულ დამოწმებას ან რეგისტრაციას.

"უფლებამოსილი ხელმოწერი" ნიშნავს პირს, რომელიც უფლებამოსილია ხელი მოაწეროს ინდივიდუალურად ან ერთობლივად (საჭიროების შემთხვევაში) მსესხებლის სახელით ჩამორიცხვების მიღებაზე და მოცემულია ბანკის მიერ მიღებული ავტორიზებული ხელმოწერების და ანგარიშების უახლეს ჩამონათვალში შესაბამისი თანხის ჩამორიცხვის მიღებამდე.

"სამუშაო დღე" ნიშნავს დღეს (შაბათის ან კვირის გარდა) როდესაც ბანკი და კომერციული ბანკები ღიაა საქმიანობის წარმართვისათვის ლუქსემბურგში და თბილისში.

"გაუქმებული ტრანში" აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა 1.6.გ (2) მუხლში.

"საკონტროლო ღონისძიების შეცვლა" აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა 4.3.ა(3) მუხლში.

"კანონში ცვლილების შემთხვევა" აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა 4.03.ა(4) მუხლში.

"ComCom" აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა (გ) ქვეპუნქტში.

"ხელშეკრულება" აქვს მნიშვნელობა როგორც ეს მოცემულია აღწერაში (თ).

"ხელშეკრულების ნომერი" ნიშნავს ბანკის მიერ შექმნილ ნომერს, რომელიც ახდენს ამ ხელშეკრულების იდენტიფიცირებას და მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების მთავარ გვერდზე ასოების "FI N °" შემდეგ.

"კრედიტი" აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა 1.1 მუხლში.

"ძალაში შესვლის თარიღი" აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა 12.3 მუხლში.

„გადაწყვეტილება“ აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა (ზ) პუნქტში.

"გადადების ანაზღაურება" ნიშნავს ანაზღაურებას, რომელიც გამოითვლება გადადებული ან შეჩერებული ყველა დადასტურებული ტრანშის თანხაზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთით:

(ა) 0.125% (12.5 საბაზისო მაჩვენებელი), წლიურად; და

(ბ) საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც:

(i) საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გამოყენებული იქნებოდა ასეთი ტრანშის მიმართ, დაგეგმილი ჩამორიცხვის თარიღზე მსესხებლისათვის მისი გადაცემის შემთხვევაში, აღემატება

(ii) შესაბამისი ბანკთაშორისი კურსს (ერთვიანი კურსი) გამოკლებული 0.125% (12.5 საბაზისო მაჩვენებელი) იმ შემთხვევაში თუ ამგვარი ღირებულება არის ნულზე ნაკლები, ის ტოლი იქნება ნულის.

ამგვარი ანაზღაურება დაგროვდება დაგეგმილი ჩამორიცხვის დღიდან ფაქტიურ ჩამორიცხვის დღემდე, ან შესაძლოა, ამ ხელშეკრულების შესაბამისად შეთანხმებული ტრანშის გაუქმების დღემდე.

"ჩამორიცხვაზე თანხმობა" ნიშნავს ჩამორიცხვის შეთავაზების ასლს, რომელიც სათანადოდ ხელმოწერილია მსესხებელის მიერ უფლებამოსილი ხელმომწერთა სიისა და ანგარიშების შესაბამისად.

"ჩამორიცხვაზე თანხმობის ბოლო დღე" ნიშნავს ჩამორიცხვის შეთავაზების ვადის გასვლის დღეს და დროს, როგორც ეს მოცემულია ამ ჩამორიცხვის შეთავაზებაში.

"ჩამორიცხვის ანგარიში" ნიშნავს თითოეულ ტრანშთან დაკავშირებით მსესხებლის ანგარიშს, რომელიც შეიქმნა მსესხებლის ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების გაცემის მიზნით, რომლის დეტალებს ადგენს ბანკის ანგარიში, რაც მოცემულია ავტორიზებული ხელმომწერების და ანგარიშების უახლეს ჩამონათვალში.

"ჩამორიცხვის თარიღი" ნიშნავს თარიღს როდესაც ტრანშის ჩამორიცხვა ხორციელდება ბანკის მიერ.

"ჩამორიცხვის შეთავაზება" ნიშნავს წერილს, როგორცეც მოცემულია განრიგში გ.

"დავა" აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა 11.2 მუხლში.

"ხელის შეშლის შეთხვევა" ნიშნავს რომელიმე ან ორივე შემთხვევას:

(ა) მნიშვნელოვანი ხელის შეშლა გადახდის ან საკომუნიკაციო სისტემებისათვის ან იმ ფინანსური ბაზრებისათვის, რომლებიც საჭიროა რათა განხორციელდეს გადახდები ხელშეკრულების ფარგლებში; ან

(ბ) ნებისმიერ სხვა შემთხვევას, რომლის შედეგადაც ადგილი აქვს ხელის შეშლას (ტექნიკურს ან სისტემურს) ბანკის ან მსესხებლის ხაზინასთან მიმართებაში ან გადახდების ოპერაციებთან მიმართებაში, რაც ხელს უშლის მხარეს:

(i) ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი გადახდების განხორციელებაში; ან

(ii) სხვა მხარეებთან კომუნიკაციაში,

და რომელი ხელისშეშლაც (მათ შორის ზემოთ აღნიშნულ (ა) ან (ბ) ქვეპუნქტებთან მიმართებაში) არ არის გამოწვეული იმ მხარის მიერ და არ ექვემდებარება იმ მხარის კონტროლს, რომლის ოპერაციების ხელშეშლასაც ჰქონდა ადგილი.

"EIB-ის განცხადება გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპებისა და სტანდარტების შესახებ" ნიშნავს EIB-ის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებას, რომელშიც აღწერილია სტანდარტები, რომლებსაც ბანკი ითხოვს მის მიერ დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებით და სხვადასხვა მხარის პასუხისმგებლობა.

„მისაღები ქვეყანა“ ნიშნავს ნებისმიერ ქვეყანას განსაზღვრულს გადაწყვეტილების დანართში III, რომელიც შესაძლებელია დრო და დრო შეიცვალოს კომისიის მიერ გადაწყვეტილების 4 (2) და მე-18 მუხლების შესაბამისად, ან ნებისმიერი სხვა ქვეყანა, რომლის მიმართაც ევროკავშირის საბჭომ და ევრო პარლამენტმა მიიღეს გადაწყვეტილება გადაწყვეტილების 4 (1) მუხლის შესაბამისად.

„დასაშვები ხარჯები“ ნიშნავს ხარჯებს (მათ შორის, დიზაინისა და ზედამხედველობის ხარჯებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, საბაჟო გადასახადებისა და გადასახდელების გარეშე), რომელიც გაიღო მსესხებელმა სამუშაოებისათვის, საქონლისა ან მომსახურებისათვის, რომელიც მოიცავს ტექნიკურ აღწერილობაში დანახარჯების ერთ პუნქტს, რომელიც დასაფინანსებლად დასაშვებია კრედიტის ფარგლებში და რომლისთვისაც დადებულია ერთი ან მეტი კონტრაქტი ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი პირობებით და EIB სახელმძღვანელოს შესყიდვების შესაბამისად.

„გარემო“ ნიშნავს შემდეგს, ადამიანების ჯანმრთელობასთან და სოციალურ კეთილდღეობასთან მიმართებაში:

- (ა) ფაუნას და ფლორას;
- (ბ) ნიადაგს, წყალს, ჰაერს, კლიმატს და ლანდშაფტს;
- (გ) კულტურულ მემკვიდრეობას; და
- (დ) გაშენებულ გარემოს.

„გარემოსდაცვითი და სოციალური გავლენის შეფასების შესწავლა“ ნიშნავს შესწავლას როგორც შედეგს გარემოსდაცვითი და სოციალური გავლენის შეფასების იდენტიფიცირებისათვის და პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზეგავლენის შესაფასებლად, რომელიც დაკავშირებულია შემოთავაზებულ პროექტთან და რეკომენდაციას უწევს ისეთ ღონისძიებებს, რომელთა მიშვეობითაც თავიდან იქნება აცილებული, შემცირებული და/ან გადაჭრილი ნებისმიერი გავლენა. აღნიშნული შესწავლა არის საჯარო განხილვების საგანი პირდაპირი და არაპირდაპირი პროექტის მეწილეებთან.

„გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტები“ ნიშნავს:

- (ა) გარემოსდაცვითი და სოციალური გავლენის შეფასებას და
- ბ) ნებისმიერ სხვა შესაბამის დოკუმენტს, რომელიც შეიძლება მოითხოვოს ბანკმა პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების შესახებ.

„გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები“ ნიშნავს:

- (ა) პროექტისათვის გარემოსდაცვით და სოციალურ კანონმდებლობას;
- (ბ) EIB-ის გარემოსდაცვით და სოციალური პრინციპებისა და სტანდარტების განცხადებას; და
- (გ) გარემოსდაცვით და სოციალურ დოკუმენტებს.

„გარემოსდაცვითი ან სოციალური ნებართვა“ ნიშნავს ნებისმიერ ნებართვას, ლიცენზიას, უფლებამოსილებას, თანხმობას ან სხვა ნებართვას, რომელიც მოითხოვება გარემოსდაცვითი კანონით ან სოციალური კანონით პროექტის ფარგლებში მშენებლობასთან ან ოპერაციებთან მიმართებაში.

„გარემოსდაცვითი ან სოციალური მოთხოვნა“ ნიშნავს ნებისმიერ მოთხოვნას, საქმისწარმოებას, ოფიციალურ გაფრთხილებას ან გამოძიებას ნებისმიერი პიროვნების მიერ გარემოსდაცვით ან სოციალურ საკითხებზე, რაც გავლენას ახდენს პროექტზე, მათ შორის ნებისმიერი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის დარღვევა ან მოსალოდნელი დარღვევა.

„გარემოსდაცვითი კანონმდებლობა“ ნიშნავს:

(ა) ევროკავშირის კანონმდებლობას, როგორც ბანკმა განსაზღვრა ამ ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღამდე, მაგ: EIA დირექტივა (ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის დირექტივა გარემოზე გარკვეული საჯარო და კერძო პროექტების გავლენის შეფასების შესახებ 2011/ 92 / EU), დროდადრო შესწორებული ან შეცვლილი;

(ბ) საქართველოს კანონებსა და რეგულაციებს; და

(გ) საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კონვენციებს, რომლებიც ხელმოწერილი და რატიფიცირებულია ან სხვაგვარად გამოიყენება და სავალდებულოა საქართველოსთვის, რომელთა ძირითადი მიზანია გარემოს შენარჩუნება, დაცვა ან გაუმჯობესება.

„EU გარანტია“ აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა (ზ) პუნქტში.

„ევროკავშირის კანონმდებლობა“ ნიშნავს ევროკავშირის ასოცირებულ შეთანხმებას, რომელიც გამოხატულია ევროკავშირის ხელშეკრულებების, რეგულაციების, დირექტივების,

დელეგირებული აქტების, განმახორციელებელი აქტებისა და ევროკავშირის მართმლსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძველზე.

“EUR” ან „euro“ ნიშნავს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ოფიციალურ ვალუტას, რომელსაც პერიოდულად აღიარებენ, როგორც საკუთარ ვალუტას ევროკავშირის ხელშეკრულების დებულებების და ევროკავშირის ფუნქციონირების ხელშეკრულების ან სხვა მასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების დებულებების შესაბამისად.

“EURIBOR” აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა განრიგში ბ.

„ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევა“ ნიშნავს ნებისმიერ გარემოებას, შემთხვევას ან მოვლენას, რომელიც განსაზღვრულია მუხლში 10.1.

“ჩამორიცხვის ბოლო დღე” ნიშნავს თარიღს ამ ხელშეკრულების ეფექტურობის თარიღიდან 60 (სამოცი) თვის შემდეგ.

“ტერორიზმის დაფინანსება” ნიშნავს დებულებას ან სახსრების შეგროვებას, ნებისმიერი საშუალებით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, იმ განზრახვით რომ ისინი გამოყენებული უნდა იყოს ან გამოყენებულია, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი დარღვევის გამოსარკვევად, რაც ჩამოთვლილია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 15 მარტის 2017/541 დირექტივაში (EU) ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ და რომელიც ცვლის საბჭოს 2002/475/JHA ჩარჩო გადაწყვეტილებას და შესწორებას აკეთებს საბჭოს 2005/671/JHA გადაწყვეტილების (შესწორებული, ჩანაცვლებული ან გააქტიურებული დროდადრო).

“ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი” ნიშნავს წლიურ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც დადგენილია ბანკის მიერ შესაბამის პრინციპებზე დაყრდნობით დროდადრო ბანკის მმართველი ორგანოების მიერ იმ სესხებისათვის, რომლებიც გაცემულია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, ტრანშის ვალუტაში და გააჩნია ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდის ექვივალენტური პირობები. ასეთი საპროცენტო განაკვეთი არ უნდა იყოს უარყოფითი.

“ფიქსირებული განაკვეთის ტრანში” ნიშნავს ტრანშს, რომელზეც ვრცელდება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი.

“ცვლადი საპროცენტო განაკვეთი” ნიშნავს ფიქსირებულ მარჟიან ცვლად ყოველწლიურ საპროცენტო განაკვეთს, განისაზღვრება ბანკის მიერ ყოველი მომდევნო ცვლადი საპროცენტო განაკვეთის სათანადო პერიოდისათვის, რაც ტოლია შესაბამის ბანკთაშორის განაკვეთს დამატებული მარჟა. თუ ცვლადი განაკვეთი ნებისმიერი ცვლადი კურსის საცნობარო პერიოდისთვის გამოითვლება ნულის ქვემოთ, ის იქნება ნული.

“ცვლადი საპროცენტო განაკვეთის პერიოდი” ნიშნავს პერიოდს ერთი გადახდის დღის პერიოდიდან მეორე შესაბამის გადახდის დღის პერიოდამდე; პირველი ცვლადი საპროცენტო განაკვეთის პერიოდი უნდა დაიწყოს ტრანშის ჩამორიცხვის დღეს.

“ცვლადი განაკვეთის ტრანში” ნიშნავს ტრანშს, რომელზეც ვრცელდება ცვლადი საპროცენტო განაკვეთი.

„ჩარჩო ხელშეკრულება“ აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა (ა) ქვეპუნქტში.

„შესყიდვის სახელმძღვანელო“ ნიშნავს შესყიდვის სახელმძღვანელოს გამოქვეყნებულს ბანკის ვებგვერდზე, რომელიც ინფორმაციას აწვდის პროექტის პრომოუტერებს ბანკის მიერ ნაწილობრივ ან მთლიანად დაფინანსებულს, რაც საჭიროა სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების შესაძენად პროექტისათვის.

“IBRD” აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა (i) ქვეპუნქტში.

“IBRD-ის სესხი” აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა (i) ქვეპუნქტში.

“IBRD-ის სასესხო შეთანხმება” მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა (i) ქვეპუნქტში.

„IFRS” ნიშნავს აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს IAS რეგულაციის 1606/2002 მნიშვნელობით იმ ფარგლებში რამდენადაც იგი შესაბამისია ფინანსურ ანგარიშთან.

“უკანონო ღონისძიება” აქვს მისთვის მნიშვნელობა 4.3.ა (5) მუხლში.

„ILO” ნიშნავს საერთაშორისო შრომის ორგანიზაციას.

„ILO სტანდარტები” ნიშნავს ILO-ს ნებისმიერ ხელშეკრულებას, კონვენციას ან შეთანხმებას ხელმოწერილს ან რატიფიცირებულს საქართველოს მიერ, ან გარკვეულწილად მისაღებს და სავალდებულოს საქართველოსთვის, და ძირითადი შრომის სტანდარტები (როგორც ეს განსაზღვრულია ILO-ს დეკლარაციაში ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ).

“ანაზღაურებადი წინასწარი გადახდის ღონისძიება” ნიშნავს წინასწარი გადახდის ღონისძიებას, გარდა 4.3.ა(2) ან 4.3.ა(5) პუნქტებში მითითებული შემთხვევებისა.

„გამსესხებლები” აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა (i) ქვეპუნქტში.

“LIBOR” აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა ბ განრიგში.

“უფლებამოსილი ხელმომწერების და ანგარიშების სია” ნიშნავს ბანკისათვის დამაკმაყოფილებელ ფორმასა და შინაარსს, რომელშიც მითითებულია:

(ა) უფლებამოსილი ხელმომწერები, რომელსაც თან ახლავს სიაში დასახელებულ პირთა ხელმომწერი ორგანოს მტკიცებულებები და განსაზღვრავს, აქვთ თუ არა მათ ინდივიდუალური ან ერთობლივი ხელმომწერის უფლებამოსილება;

(ბ) ასეთი პირების ხელმოწერების ნიმუში;

(გ) საბანკო ანგარიში (ანგარიშები), რომელზეც ჩამორიცხვა შეიძლება განხორციელდეს ამ ხელშეკრულების შესაბამისად (მითითებულია IBAN კოდით, თუ ქვეყანა შედის SWIFT – ის მიერ გამოქვეყნებულ IBAN–ის რეესტრში, ან ანგარიშის შესაბამისი ფორმატით, ადგილობრივი საბანკო პრაქტიკის შესაბამისად), ბანკის BIC/SWIFT კოდი და საბანკო ანგარიშ (გბ) ის ბენეფიციარის სახელი და თან დამადასტურებელი საბუთები, რომ ასეთი ანგარიში (ანგარიშები) გახსნილია ბენეფიციარის სახელზე; და

(დ) საბანკო ანგარიში (გბ) ი, საიდანაც გადასახადები განხორციელდება მსესხებლის მიერ (მითითებულია IBAN კოდით, თუ ქვეყანა შეტანილია SWIFT – ის მიერ გამოქვეყნებულ IBAN– ის რეესტრში, ან ანგარიშის შესაბამისი ფორმატით, ადგილობრივი საბანკო პრაქტიკის შესაბამისად) ბანკის BIC/SWIFT კოდი და საბანკო ანგარიშ (გბ) ის ბენეფიციარის სახელი და მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ასეთი ანგარიში (ანგარიშები) გახსნილია ბენეფიციარის სახელზე.

“სესხი” ნიშნავს ბანკის მიერ დროდადრო ტრანშების საერთო თანხის ჩამორიცხვას აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში.

„თანხის გადაცემის შესახებ ხელშეკრულება” აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა (დ) ქვეპუნქტში.

“გადაუხდელი სესხი” ნიშნავს ბანკის მიერ ამ ხელშეკრულებით დროდადრო გაცემული თანხების ჯამს, რომელიც რჩება გადაუხდელი.

“მანდატი” აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა (ვ) პუნქტში.

“ზარის ხელის შეშლის შემთხვევა” ნიშნავს ნებისმიერ შემდეგ გარემოებას:

(ა) ბანკის მოსაზრებით ადგილი აქვს გამონაკლის შემთხვევას როდესაც ბანკს ხელი არ მიუწვდება თავის დაფინანსების წყაროებთან;

(ბ) ბანკის აზრით არ არის ხელმისაწვდომი თანხები მისი ჩვეულებრივი დაფინანსების წყაროებიდან რომ მოხდეს აღნიშნული ტრანშის დაფინანსება შესაბამის ვალუტაში და/ან შესაბამისი დროით და/ან ამ ტრანშის ანაზღაურების გრაფიკის მიხედვით; ან

(გ) ტრანშთან მიმართებაში, რომელთან დაკავშირებითაც გადასახდელია პროცენტი ცვლადი საპროცენტო განაკვეთით:

- (i) ბანკის მიერ დაფინანსების წყაროებიდან თანხების მოპოვების ხარჯები, როგორც ეს არის განსაზღვრული ბანკის მიერ, ასეთი ტრანშის ცვლადი განაკვეთის საანგარიშო პერიოდის ტოლი პერიოდისთვის (მაგ: ფულის ბაზარზე), რაც აღემატება მოქმედ შესაბამის ბანკთაშორის განაკვეთს;
- (ii) ბანკი ადგენს, რომ არ არსებობს ადეკვატური და სამართლიანი საშუალებები ასეთი ტრანშის შესაბამისი ვალუტის შესაბამისი ბანკთაშორისი კურსის დასადგენად.

“არსებითად უარყოფითი ცვლილება” ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას ან მდგომარეობის შეცვლას, რომელსაც, ბანკის აზრით, აქვს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა შემდეგზე:

- (ა) მსესხებლის შესაძლებლობაზე შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ან მსოფლიო ბანკის სასესხო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ან პრომოუტერის შესაძლებლობაზე შეასრულოს თავისი ვალდებულებები პროექტთან მიმართებაში;
- (ბ) მსესხებლის ან მიმწოდებლის ბიზნესზე, ოპერაციებზე, ქონებაზე, მდგომარეობაზე (ფინანსური ან სხვა) ან პერსპექტივებზე; ან
- (გ) ბანკისთვის მინიჭებული ნებისმიერი ფასიანი ქაღალდის მოქმედების ან აღსრულების ან მისი ეფექტურობის ან რანგირების ან ღირებულების ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბანკის უფლებებზე და ზარალის ანაზღაურებაზე.

“გადახდის პერიოდი” ნიშნავს ტრანშის ბოლო გადახდის დღეს, როგორც ეს მოცემულია მუხლში 4.01 (ბ)(iv).

„ფულის გათეთრება“ ნიშნავს:

- (ა) საკუთრების გარდაქმნას ან გადაცემას, ცოდნით, რომ ასეთი საკუთრება შექმნილია კრიმინალური საქმიანობის შედეგად ან ასეთ ქმედებაში მონაწილეობით, იმ მიზნით რომ დაიმალოს ან შეინიღბოს ამ ქონების უკანონო წარმოშობა ან იმ პიროვნების დასახმარებლად, რომელიც ჩართულია ასეთ საქმიანობაში და თავიდან იცილებს მისი ქმედების სამართლებრივ გარემოებებს;
- (ბ) ჭეშმარიტი ბუნების, წყაროს, ადგილმდებარეობის, განკარგვის, გადაადგილების, უფლებების ან საკუთრების ფლობის დამალვას ან შენიღბვას, იმის ცოდნას, რომ ასეთი ქონება მომდინარეობს დანაშაულებრივი ქმედებიდან ან ასეთ საქმიანობაში მონაწილეობისგან;
- (გ) ქონების შეძენას, ფლობას ან გამოყენებას, მიღების მომენტისთვის იმის ცოდნას, რომ ასეთი ქონება მოპოვებული იყო დანაშაულებრივი ქმედებით ან ასეთ საქმიანობაში მონაწილეობის მიღებიდან; ან
- (დ) მონაწილეობას, გაერთიანებას ჩასადენად, ჩადენის მცდელობასა და დახმარებას, წახალისებას, ხელშეწყობასა და კონსულტაციას ზემოაღნიშნულ პუნქტებში აღნიშნული ნებისმიერი ქმედების ჩადენაში.

„EIB-ს არა დაფინანსება“ აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა 4.3.ა(2) მუხლში.

„EIB-ს არა დაფინანსების წინსწრებით გადახდის შემთხვევა“ აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა 4.3.ა(2) მუხლში.

“გადახდის ანგარიში” ნიშნავს საბანკო ანგარიშს, საიდანაც გადახდები განხორციელდება ამ ხელშეკრულებით, მსესხებლის მიერ, როგორც ეს მოცემულია უფლებამოსილი ხელმომწერების და ანგარიშების უახლეს სიაში.

“გადახდის თარიღი“ ნიშნავს წლიურ, ნახევარწლიურ ან კვარტალურ თარიღებს, რომლებიც განსაზღვრულია გაცემის შეთავაზებაში გადახდის თარიღამდე და ჩათვლით, იმის გათვალისწინებით, რომ თუ ამგვარი თარიღი არ არის სამუშაო დღე, ნიშნავს:

(ა) ფიქსირებული განაკვეთის ტრანშისთვის მომდევნო შესაბამის სამუშაო დღეს 3.1 მუხლის პირობების შესაბამისად ყოველგვარი გადაანგარიშების გარეშე; და

(ბ) ცვლადი საპროცენტო ტრანშისთვის, ამ თვის მომდევნო შესაბამისი სამუშაო დღე, ან, თუ ეს არ არის, უახლოესი წინა შესაბამისი სამუშაო დღე, ყველა შემთხვევაში 3.1 მუხლის შესაბამისად გადასახდელი პროცენტის შესაბამისი კორექტირებით.

“PoC” აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა (i) ქვეპუნქტში.

“წინსწრებით გადახდის თანხის ოდენობა” ნიშნავს, ტრანშის თანხის ოდენობას, რომელიც უნდა იქნეს გადახდილი მსესხებელის მიერ მუხლი 4.2ა ან მუხლი 4.3.ა-ს შესაბამისად.

“წინსწრებით გადახდის თარიღი” ნიშნავს თარიღს, როგორც ამას ითხოვს მსესხებელი და შეთანხმებულია ბანკთან ან მითითებულია ბანკის მიერ (შესაბამისად), რომელზეც მსესხებელმა უნდა შეასრულოს წინასწარი გადახდის თანხის წინასწარი გადახდა.

“წინსწრებით გადახდის შემთხვევა” აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა 4.3.ა მუხლში.

“წინსწრებით გადახდის ანაზღაურება” ნიშნავს ნებისმიერ წინსწრებით გადასახდელ ან გასაუქმებელ ძირითად თანხასთან მიმართებაში, თანხას რომელიც ბანკმა შეატყობინა მსესხებელს, როგორც მიმდინარე ღირებულების (წინსწრებით გადახდის დღეს) ნამეტი:

(ა) პროცენტი რომელიც დაერიცხებოდა წინსწრებით გადასახდელ თანხას წინსწრებით გადახდის დღიდან გადახდის ბოლო დღემდე, თუ არ იქნებოდა წინსწრებით გადახდილი;

(ბ) პროცენტი რომელიც დაერიცხებოდა ამ პერიოდის განმავლობაში, თუ გამოითვლებოდა განაწილების საპროცენტო განაკვეთს მინუს 0.19% (ცხრამეტი საბაზისო მაჩვენებელი).

აღნიშნული მიმდინარე ღირებულება უნდა გამოითვალოს დისკონტის განაკვეთის საფუძველზე, რომელიც ტოლია განაწილების საპროცენტო განაკვეთისა, რაც გამოყენებულია თითოეული შესაბამისი გადახდის დღისთვის.

“წინსწრებით გადახდის შეტყობინება” ნიშნავს, ბანკის მხრიდან წერილობით შეტყობინებას მსესხებელის მიმართ, მუხლი 4.2 გ-ს შესაბამისად.

“წინსწრებით გადახდის თხოვნა” ნიშნავს წერილობით მოთხოვნას მსესხებლის მხრიდან ბანკის მიმართ სესხის ყველა ან ნაწილობრივი გადახდისათვის, მუხლი 4.2ა-ს შესაბამისად.

“პროექტის საოპერაციო სახელმძღვანელო” ნიშნავს სახელმძღვანელოს, ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმითა და შინაარსით, რომელიც შეიცავს: პროექტის განხორციელების დეტალურ მითითებებს და პროცედურებს, მათ შორის: ადმინისტრაციისა და კოორდინაციის, მონიტორინგისა და შეფასების, ფინანსური მენეჯმენტის, შესყიდვებისა და სააღრიცხვო პროცედურებს, გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის ზომებს, ანტიკორუფციული და თაღლითობის შემსუბუქების ზომებს, საჩივრების განხილვის მექანიზმს, პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების დებულებებს, კარგი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, პროექტის განხორციელების როლებსა და პასუხისმგებლობებს, მათ შორის სააგენტოებისა და სააგენტოების კონკრეტულ როლებსა და პასუხისმგებლობებს. პროექტის განხორციელებაში მონაწილე ერთეულებს, პროექტის განხორციელების წლიურ გეგმას პროექტის ოპერაციების თანმიმდევრობისთვის და სხვა ღონისძიებებსა და პროცედურებს, რომლებიც საჭიროა პროექტის ეფექტური განხორციელებისთვის.

„აკრძალული ქმედება“ ნიშნავს ტერორიზმის დაფინანსებას, ფულის გათეთრებას ან აკრძალულ პრაქტიკას.

„აკრძალული პრაქტიკა“ ნიშნავს:

(ა) იძულებით პრაქტიკას: რაც გულისხმობს დაკნინებას ან ზიანის მიყენებას, ან ზიანის მიყენების მუქარას, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ნებისმიერი მხარის ან მხარის საკუთრების მიმართ, არასწორად გავლენის მოსახდენად რომელიმე მხარის ქმედებებზე.

(ბ) საიდუმლო პრაქტიკა: ნიშნავს ხელშეკრულებას ორ ან მეტ მხარეს შორის, რაც მიზნად ისახავს არასწორი მიზნის მიღწევას, რომელიც მოიცავს მათ შორის სხვა მხარის ქმედებებზე არასათანადო გავლენის მოხდენას.

(გ) კორუფციული პრაქტიკა: ნიშნავს მხარის მიერ რაიმე ღირებულის პირდაპირ ან ირიბად შეთავაზებას, გაცემას, მიღებას ან მოთხოვნას, რომ სხვა მხარის ქმედებებზე არასათანადო გავლენა მოახდინოს;

(დ) თაღლითური პრაქტიკა: ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას ან უმოქმედობას, მათ შორის არასწორ წარმოდგენას, რომელსაც შეგნებულად ან დაუფიქრებლად შეცდომაში შეჰყავს ან ცდილობს მხარის შეცდომაში შეყვანას ფინანსური (მათ შორის, დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით) ან სხვა სარგებლის ან ვალდებულების თავიდან აცილების მიზნით; ან

(ე) დამაბრკოლებელი პრაქტიკა: ნიშნავს გამოძიებას იძულების, ფარულ, კორუმპირებულ და თაღლითურ პრაქტიკასთან დაკავშირებით, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნულ სესხთან ან პროექტთან: (ა) გამოძიების ჩვენების მასალის განზრახ განადგურება, გაყალბება, შეცვლა ან დამალვა; და/ან ნებისმიერი მხარის დევნა, დაშინება ან მის მიმართ მუქარა, რათა მან არ დაუშვას თავისი ცოდნის გამჟღავნება შესაბამისი გამოძიების საკითხებთან დაკავშირებით ან განახორციელოს გამოძიება, ან (ბ) მოქმედებები რომელიც ხელს უშლის ანგარიშების შემოწმების სახელშეკრულებო უფლებების განხორციელებას ან ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

(ვ) საგადასახადო დანაშაულს, რაც გულისხმობს ყველა დანაშაულს, მათ შორის, საგადასახადო დანაშაულებებს, რომლებიც უკავშირდება პირდაპირ გადასახადებს და არაპირდაპირი გადასახადებს და ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში, და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ან დაპატიმრების ბრძანებით არა უმეტეს ერთი წლის ვადით.

„პროექტი“ აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა (გ) ქვეპუნქტში.

„პროექტის ხარჯების შემცირების ღონისძიება“ აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა 4.3.ა (1) მუხლში.

„პრომოუტერი“ აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა (გ) ქვეპუნქტში.

„გადანაწილების კურსი“ ნიშნავს ბანკის მიერ განსაზღვრულ წლიურ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც წარმოადგენს ტარიფს, რომელსაც ბანკი გამოიყენებს სესხის ანაზღაურების გაანგარიშების დღეს, რომელსაც აქვს იგივე ვალუტა, იგივე პირობები პროცენტის გადახდისთვის და იგივე დაფარვის პროფილი. დაფარვის თარიღამდე, როგორც ტრანში, რომელთან დაკავშირებით წინადადება ან გაუქმება არის შემოთავაზებული ან მოთხოვნილია. ასეთი მაჩვენებელი არ უნდა იყოს უარყოფითი მნიშვნელობის.

„შესაბამისი სამუშაო დღე“ ნიშნავს:

(ა) ევროსთვის, დღე, როდესაც ტრანსევროპული ავტომატური რეალურ დროში მთლიანი ანგარიშსწორების ექსპრეს გადარიცხვის გადახდის სისტემა, რომელიც იყენებს ერთიან საზიარო პლატფორმას და რომელიც ამოქმედდა 2007 წლის 19 ნოემბერს (TARGET2) ღია გადახდებისთვის ევროში და

(ბ) აშშ დოლარისთვის, დღე როცა ბანკები ღიაა ზოგადი ბიზნესისათვის ნიუ-იორკში.

„შესაბამისი ბანკთაშორისი განაკვეთი“ ნიშნავს:

(ა) EURIBOR-ს EUR-ში დენომინირებული ტრანშისთვის; და

(ბ) LIBOR-ს დოლარში დენომინირებული ტრანშისთვის.

„შესაბამისი პირი“ ნიშნავს:

(ა) მსესხებლის მიმართ, სამინისტროების, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ცენტრალური ორგანოების ან სხვა სამთავრობო ქვედანაყოფების და მათი ნებისმიერი თანამდებობის პირის ან წარმომადგენლის მიმართ, ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ, რომელიც მოქმედებს მისი სახელით ან მისი კონტროლის ქვეშ, რომელსაც აქვს სესხის ან პროექტის მართვის და/ან ზედამხედველობის უფლება; და

(ბ) პრომოუტერთან, მისი მმართველი ორგანოს ნებისმიერ წევრთან, ნებისმიერ თანამდებობის პირთან ან წარმომადგენელთან მიმართებაში; ან მისი რომელიმე თანაშრომელი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც მოქმედებს მისი სახელით ან მისი კონტროლის ქვეშ, რომელსაც აქვს უფლებამოსილება გასცეს მითითებები და განახორციელოს კონტროლი სესხთან ან პროექტთან დაკავშირებით.

„დაფარვის თარიღი“ ნიშნავს თითოეული გადახდის თარიღს, რომელიც განსაზღვრულია ტრანშის ძირითადი თანხის დაფარვისთვის, გაცემის შეთავაზებაში, 4.1 მუხლის შესაბამისად.

„მოთხოვნილი გადავადების თარიღი“ აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა 1.5.ა (1) (ა) (ii) მუხლში.

„სანქცირებული პირი“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს ან პირს (ეჭვის თავიდან ასაცილებლად, ტერმინი“ სუბიექტი“ მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ რომელიმე მთავრობით, ჯგუფით ან ტერორისტული ორგანიზაციით), რომლის მიზანია ან სხვაგვარად ექვემდებარება სანქციებს.

„სანქციები“ ნიშნავს ეკონომიკურ ან ფინანსურ სანქციებს, კანონს, რეგულაციებს, საგაჭრო ემბარგოს ან სხვა შემაკავებელ ზომებს (მათ შორის, განსაკუთრებით, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ, ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული ღონისძიებებით), რომელიც ამოქმედდა, ადმინისტრირდა, განხორციელდა და / ან აღსრულდა დრო და დრო რომელიმე შემდეგით:

(ა) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და ნებისმიერი სააგენტოს ან პირის მიერ, რომელიც სათანადოდ არის დანიშნული, უფლებამოსილი ან აღჭურვილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან, განახორციელოს ამგვარი ზომების მიღება, მართვა, განხორციელება და / ან აღსრულება;

(ბ) ევროკავშირის და ნებისმიერი სააგენტოს ან პირის მიერ, რომელიც სათანადოდ არის დანიშნული, უფლებამოსილი ან აღჭურვილი ევროკავშირის მიერ ამგვარი ზომების ამოქმედების, მართვის, განხორციელებისა და / ან აღსრულების მიზნით; და

(გ) შეერთებული შტატების მთავრობის და მისი ნებისმიერი დეპარტამენტის, განყოფილების სააგენტოს ან ოფისის მიერ, მათ შორის შეერთებული შტატების კომერციის დეპარტამენტის საგარეო აქტივების კონტროლის ოფისის (OFAC), შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის და / ან შეერთებული შტატების სახელმწიფო კომერციის დეპარტამენტის მიერ.

“დაგეგმილი ჩამორიცხვის თარიღი” ნიშნავს თარიღს, როდესაც იგეგმება ტრანშის ჩამორიცხვა მუხლი 1.2ბ-ს შესაბამისად.

“უზრუნველყოფა” ნიშნავს ნებისმიერ იპოთეკას, დაპირებას, გირავნობას, პასუხისმგებლობას, დავალებას, იპოთეკურ სესხს, ან სხვა უზრუნველყოფის პროცენტს რომელიც იქნება სხვა ნებისმიერი პირის ვალდებულების, ან სხვა ნებისმიერი ხელშეკრულების ან შეთანხმების ან მსგავსი დოკუმენტით აღებული ვალდებულებების გარანტორი.

“სოციალური კანონმდებლობა” ნიშნავს:

(ა) ნებისმიერ კანონმდებლობას, წესსა და რეგულაციას საქართველოსთვის მისაღებს სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულს;

(ბ) ILO სტანდარტს;

(გ) გაეროს ხელშეკრულებას, კონვენციას ან შეთანხმებას ადამიანის უფლებებზე, რომელიც ხელმოწერილი და რატიფიცირებულია საქართველოს მიერ ან სხვაგვარად გამოიყენება და სავალდებულოა საქართველოსთვის.

“სოციალური საკითხები” ნიშნავს, ყველა ან ერთ-ერთს ქვემოთ ჩამოთვლილიდან:

(ა) შრომის ან დასაქმების პირობები;

(ბ) პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;

(გ) დაზარალებული პირების, ეთნიკური უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების დაცვა და მათი უფლებებისა და ინტერესების მინიჭება;

(დ) კულტურული მემკვიდრეობა (მატერიალური და არამატერიალური);

(ე) საზოგადოებრივი ჯანდაცვა, უსაფრთხოება და დაცულობა;

(ვ) იძულებით გადაადგილება და/ან ეკონომიკური მდგომარეობის გამო გადაადგილება და საცხოვრებელი პირობების დაკარგვა; და

(ზ) საჯარო და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა.

“მარჟა” ნიშნავს შესაბამისი ბანკთაშორისი განაკვეთის ფიქსირებულ მარჟას (დადებითი თუ უარყოფითი მნიშვნელობის), განსაზღვრული ბანკის მიერ და შეტყობინებული მსესხებლისათვის შესაბამისი ჩამორიცხვის შეთავაზების მეშვეობით.

„თანხის გადაცემის უფლებამოსილების შესახებ ხელშეკრულება“ აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა (გ) ქვეპუნქტში.

“გადასახადი” ნიშნავს ნებისმიერ გადასახადს, ბეგარას, ბაჟს, სავალდებულო გადასახადს, ან სხვა გადასახდელს ან მსგავსი ბუნების გადასახადებს (მათ შორის, ნებისმიერი ჯარიმა ან პროცენტი, რომელიც უნდა გადაიხადოს ნებისმიერ გადაუხდელობასთან ან გადახდის დაგვიანებასთან დაკავშირებით).

“ტექნიკური აღწერა” აქვს მისთვის მინიჭებული მნიშვნელობა (გ) ქვეპუნქტში.

“ტრანში” ნიშნავს თითოეულ ჩამორიცხვას, რომელიც განხორციელდა ან განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად. ჩამორიცხვის თანხმობის არ არსებობის შემთხვევაში, ტრანში ნიშნავს ტრანშს როგორც ეს შემთავაზებულია 1.2ბ მუხლში.

“USD” ნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ ვალუტას.

## მუხლი 1

### კრედიტი და ჩამორიცხვები

#### 1.1 კრედიტის ოდენობა

წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკი მსესხებელის სასარგებლოდ გასცემს და მსესხებელი იღებს კრედიტს ("კრედიტი") 34,000,000 (ოცდაათობმეტი მილიონი ევრო) ევროს ექვივალენტის ოდენობით პროექტის დაფინანსების მიზნით.

#### 1.2 ჩამორიცხვის პროცედურა

##### 1.2.ა ტრანშები

ბანკმა უნდა გაანაწილოს კრედიტი 10 (ათ) ტრანშამდე. თითოეული ტრანშის თანხა უნდა იყოს მინიმალური ოდენობის ექვივალენტი 1,000,000 (ერთი მილიონი ევრო) ევროს ან (თუ ნაკლებია) კრედიტის მთელი გამოუყენებელი ნაშთი

##### 1.2. ბ ჩამორიცხვის შეთავაზება

მსესხებელის მოთხოვნისა და 1.4.ა მუხლის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ არ ქონია ადგილი 1.6.ბ მუხლში მოცემულ შემთხვევას და არ გრძელდება იგი, ბანკი გაუგზავნის მსესხებელს ჩამორიცხვის შეთავაზებას ჩამოსარიცხი ტრანშისთვის 5 სამუშაო დღის განმავლობაში. ბანკის მიერ მსესხებლისთვის ამგვარი შეთავაზების გაგზავნის ბოლო დღეა 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღე ბოლო ხელმისაწვდომ თარიღამდე. ჩამორიცხვის შეთავაზება განსაზღვრავს:

(ა) ვალუტას, ტრანშის EUR-ს ექვივალენტ ოდენობას;

(ბ) დაგეგმილ ჩამორიცხვის თარიღს, რომელიც უნდა იყოს შესაბამისი სამუშაო დღე, რომელიც უნდა დაემთხვეს ჩამორიცხვის შეთავაზების შემდგომ 10 დღის პერიოდს და ჩამორიცხვის ბოლო დღეს ან წინა პერიოდს;

(გ) ტრანშის საპროცენტო განაკვეთის საფუძველს, რაც არის: (i) ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთიანი ტრანში; ან (ii) ცვლად საპროცენტო განაკვეთიანი ტრანში, თითოეული შემთხვევისთვის 3.1 მუხლის დებულებების შესაბამისად;

(დ) ტრანში გადახდის თარიღებს და პროცენტის პირველი გადახდის თარიღს;

(ე) ტრანშის ძირითადი თანხის გადახდის პირობებს, მუხლი 4.1-ის დებულებების შესაბამისად;

(ვ) წინსწრებით გადახდის თარიღებს, ტრანშის ძირითადი თანხის პირველი და ბოლო გადახდის თარიღებს;

(ზ) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ტრანშისათვის ფიქსირებული განაკვეთის ოდენობას და ცვლადი საპროცენტო განაკვეთის ტრანშისათვის - მარჯას შესაბამის ტრანშზე, რომელიც გრძელდება გადახდის ვადამდე; და

(თ) ჩამორიცხვზე თანხმობის ბოლო ვადას.

##### 1.2.გ ჩამორიცხვაზე თანხმობა

მსესხებელს შეუძლია განუცხადოს ჩამორიცხვის შეთავაზებაზე თანხმობა ბანკს არაუგვიანეს ჩამორიცხვაზე თანხმობის ბოლო დღისა. ჩამორიცხვაზე თანხმობას ხელს აწერს უფლებამოსილი ხელმომწერი ინდივიდუალური წარმომადგენლობის უფლებით ან ორი ან მეტი უფლებამოსილი ხელმომწერი, ერთობლივი წარმომადგენლობის უფლებით

და მიუთითებს საანგარიშო ანგარიშზე, რომელზეც უნდა გაკეთდეს ტრანშის გაცემა 1.2.დ. მუხლის შესაბამისად.

იმ შემთვევაში, როდესაც ჩამორიცხვაზე შეთავაზება მსესხებელის მიერ სათანადოდ არის მიღებული მისი პირობების შესაბამისად, ჩამორიცხვაზე თანხმობის დღეს ან ჩამორიცხვაზე თანხმობის ბოლო დღემდე, ბანკი ხელმისაწვდომს გახდის მსესხებლისთვის მიღებულ ტრანშს შესაბამისი ჩამორიცხვის შეთავაზების მიხედვით და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების და ვადების გათვალისწინებით.

ჩაითვლება, რომ მსესხებელმა უარი თქვა ნებისმიერ ჩამორიცხვის შეთავაზებაზე, რომელიც არ არის სათანადოდ მიღებული ამ ჩამორიცხვის შეთავაზების პირობების შესაბამისად ჩამორიცხვაზე თანხმობის დღეს ან ჩამორიცხვაზე თანხმობის ბოლო დღემდე.

ბანკი შეიძლება დაეყრდნოს ინფორმაციას, რომელიც მოცემულია უფლებამოსილი ხელმოწერების უახლეს სიაში და ანგარიშებში, რომლებიც ბანკს გადაეცა მსესხებლის მიერ. თუ ჩამორიცხვაზე თანხმობას ხელს აწერს პირი, რომელიც განსაზღვრულია როგორც უფლებამოსილი ხელმოწერი უფლებამოსილი ხელმოწერების უახლესი ნუსხისა და ანგარიშების ფარგლებში, რაც გადაეცემა ბანკს გამსესხებლის მიერ, ბანკმა შეიძლება გაითვალისწინოს, რომ ამ პირს აქვს უფლება ხელი მოაწეროს და მიიღოს ასეთი ჩამორიცხვაზე თანხმობა მსესხებლის სახელით.

#### **1.2.დ ჩამორიცხვის ანგარიში**

თანხის გაცემა ხორციელდება ჩამორიცხვის ანგარიშზე, რომელიც მითითებულია შესაბამის ჩამორიცხვის თანხმობაში, იმ პირობით, რომ ასეთი ჩამორიცხვის ანგარიში მისაღებია ბანკისთვის.

თითოეული გაცემის ანგარიში უნდა იყოს განცალკევებული მსესხებლის ნებისმიერ სხვა ანგარიშისგან, დამოუკიდებლად და განცალკევებულად უნდა განხორციელდეს მისი აუდიტი და იგი არ ექვემდებარება რაიმე აღსრულებას, მიმაგრებას ან რაიმე მსგავს პროცედურებს და რომლის სტატუსი შენარჩუნებული იქნება პროექტის განხორციელების განმავლობაში.

თითოეული ტრანშისთვის შეიძლება მხოლოდ ერთი ჩამორიცხვის ანგარიში იყოს მითითებული.

#### **1.3 ჩამორიცხვის ვალუტა**

ბანკმა თითოეული ტრანში უნდა ჩამორიცხოს ევროში ან ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, დოლარში.

ჩამოსარიცხი თანხების გამოთვლისათვის ვალუტებში, რომელიც ევროსგან განსხვავებულია, და ევროში მათი ეკვივალენტის განსაზღვრისთვის, ბანკი ვალდებულია განსაზღვროს კურსი, რომელიც გამოყალიბებულია მაინის ფრანკფურტში ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ, რომელიც ხელმისაწვდომია ჩამორიცხვის შეთავაზების წარდგენის დღეს ან ცოტა უფრო ადრე ჩამორიცხვის შეთავაზების წარდგენამდე, როგორც გადაწყვეტს ბანკი.

#### **1.4 ჩამორიცხვის პირობები**

##### **1.4.ა ჩამორიცხვის შეთავაზების პირველი მოთხოვნის წინაპირობა**

ბანკმა მსესხებლისგან უნდა მიიღოს ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმით და შინაარსით:

(ა) მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულების შესრულება სათანადოდ ავტორიზებულია და რომ პირი ან პირები, რომლებიც ხელს აწერენ ამ ხელშეკრულებას მსესხებლის სახელით, სათანადო უფლებამოსილება აქვთ ამის შესახებ, თითოეული ასეთი პირის ან პირების ხელმოწერის ნიმუშთან ერთად; და

(ბ) უფლებამოსილი ხელმომწერების და ანგარიშების სია,

მსესხებლის მიერ 1.2.ბ მუხლის თანახმად ჩამორიცხვის შეთავაზების მოთხოვნამდე. მსესხებლის მიერ გაკეთებული ნებისმიერი ჩამორიცხვის შეთავაზების მოთხოვნა, ბანკის მიერ ზემოხსენებული დოკუმენტაციის მიღების გარეშე და ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმით მიღების გარეშე, არ ჩაითვლება შესრულებულად.

#### 1.4.ბ პირველი ტრანში

პირველი ტრანშის ჩამორიცხვა 1.2 მუხლის თანახმად არის ბანკის მიერ მისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმით და შინაარსით მიღებით, დაგეგმილი გაცემის თარიღამდე 7 (შვიდი) სამუშაო დღით ადრე და გადავადების შემთხვევაში 1.5 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი გადავადების გაცემის თარიღი ან შეთანხმებული გადადებული გაცემის თარიღი, შესაბამისად) მიღებული შემდეგი დოკუმენტები ან მტკიცებულებები:

მსესხებელმა უნდა:

- (i) უზრუნველყოს, რომ პრომოუტერი მოქმედებს როგორც ბანკის და IBRD-ს ინტერესებით და რომ ბანკის მოთხოვნით, პრომოუტერს უნდა ჰქონდეს იგივე ვალდებულებები ბანკის მიმართ, როგორც მას ეკისრება პროექტის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად IBRD-ს მიმართ;
- (ii) უზრუნველყოს, რომ პრომოუტერი გაივლის ბანკთან კონსულტაციებს, ამ სესხით დაფინანსებულ კონტრაქტებში რაიმე არსებითი ცვლილებების შეტანამდე;
- (iii) განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინოს ბანკს თანხის გადაცემის ხელშეკრულება, რომელიც შესთავაზა მსესხებელმა თანხის გადაცემის ხელშეკრულების შესრულებამდე; და
- (iv) უზრუნველყოს, რომ თანხის გადაცემის ხელშეკრულება შეიცავს დებულებებს, რომლებიც აცნობებს პრომოუტერს, რომ ბანკის მიერ გაწეული ფინანსური მხარდაჭერა სარგებლობს ევროკავშირის მხრიდან ევროკავშირის გარანტიით.

## **ბ . ზოგადი ვალდებულებები**

### **6.6 კანონმდებლობასთან შესაბამისობა**

მსესხებელი ვალდებულია და უნდა უზრუნველყოს, რომ მიმწოდებელი ყველა თვალსაზრისით შეასრულებს ყველა კანონს და რეგულაციას, რომელსაც ექვემდებარება იგი ან პროექტი.

### **6.7 ცვლილება საქმიანობაში**

მსესხებელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ პრომოუტერის საქმიანობაში არსებითი ცვლილება არ განხორციელებულა ამ ხელშეკრულების შესრულების დღიდან.

### **6.8 შეერთება/შერწყმა**

მსესხებელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მიმწოდებელი არ დაუშვებს გაერთიანებას, დაშლას, შერწყმას ან კორპორატიული რეკონსტრუქციის პროცესს.

### **6.9 წიგნები და ჩანაწერები**

მსესხებელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მიმწოდებელი შეინარჩუნებს ფინანსური კონტროლის პროცედურებს, აღრიცხვის სისტემებს და მართვის სხვა სისტემებს, რათა უზრუნველყოს:

(ა) ინახავს და გააგრძელებს სათანადო წიგნებისა და აღრიცხვის ჩანაწერების შენახვას, რომლებშიც უნდა გაკეთდეს სრული და სწორი ჩანაწერები ყველა ფინანსური ოპერაციისა და პრომოუტერის აქტივებისა და ბიზნესის შესახებ, პროექტთან დაკავშირებული ხარჯების ჩათვლით;

(ბ) პრომოუტერის ფინანსური ანგარიშგება მზადდება IFRS-ის შესაბამისად, როგორც დროდადრო მოქმედი; და

(გ) სესხის თანხა, რომელიც პრომოუტერისთვის ხელმისაწვდომია თანხის გადაცემის ხელშეკრულებით, აღრიცხება და შემოწმდება, პრომოუტერის ყველა სხვა სახსრებისა და აქტივებისგან განცალკევებით.

### **6.10 ერთიანობა**

#### **6.10.ა აკრძალული ქმედება**

(ა) მსესხებელი არ უნდა (და უნდა უზრუნველყოს, რომ მიმწოდებელი არ ჩაერთვება) ჩაერთოს (და არ მისცემს უფლებას სხვა პირს, რომელიც მოქმედებს მისი სახელით) რაიმე აკრძალულ ქმედებაში პროექტთან დაკავშირებით, პროექტისთვის ნებისმიერ სატენდერო პროცედურასთან დაკავშირებით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ ოპერაციასთან დაკავშირებით.

(ბ) მსესხებელი იღებს ვალდებულებას (და უზრუნველყოფს, რომ პრომოუტერი აიღებს ვალდებულებას) განახორციელოს ისეთი ზომები, როდესაც ბანკი გონივრულად ითხოვს გამოიკვილოს ან შეწყვიტოს ნებისმიერი აკრძალული საქციელის სავარაუდო ან საეჭვო ფაქტი პროექტთან დაკავშირებით.

(გ) მსესხებელი იღებს ვალდებულებას (და უზრუნველყოფს, რომ მიმწოდებელი აიღებს ვალდებულებას) უზრუნველყოს, რომ ამ სესხით დაფინანსებული კონტრაქტები შეიცავს საჭირო დებულებებს, რომლითაც მსესხებელს შეეძლება გამოიკვილოს ან შეწყვიტოს ნებისმიერი აკრძალული საქციელის სავარაუდო ან საეჭვო შემთხვევა პროექტთან დაკავშირებით.

### 6.10.ბ სანქციები

მსესხებელმა არ უნდა და უნდა უზრუნველყოს, რომ პრომოუტერმა პირდაპირ ან არაპირდაპირი გზით არ:

(ა) შეინარჩუნოს ან შევიდეს საქმიან ურთიერთობაში ან პროექტთან დაკავშირებით გახადოს ნებისმიერი სახსრები ან /და ეკონომიკური რესურსი ხელმისაწვდომი ნებისმიერი სანქცირებული პირისათვის, ან მათ სასარგებლოდ, ან

(ბ) გამოიყენოს სესხის ან სესხის მთლიანი ან ნაწილობრივი თანხა, მისცეს ან სხვაგვარად გახადოს ასეთი თანხა ხელმისაწვდომი ნებისმიერ პირისთვის, თითოეულ შემთხვევაში, ნებისმიერი ფორმით, რაც გამოიწვევს თვითონ დარღვევას ან შესაბამისი სანქციებს ბანკის მხრიდან; ან

(გ) სესხის თანხიდან დააფინანსოს კონტრაქტის ფარგლებში მიღებული მთლიანი ან ნაწილი გადასახადი, რომელიც მიღებულია სანქცირებულ პირთან, სანქციების დარღვევაში მყოფ პირთან არსებული ქმედებებიდან ან ღონისძიებებიდან, ან რაიმე ფორმით, რაც გამოიწვევს თავად მის მიერ სანქციების დარღვევას ან სანქციებს ბანკის მხრიდან.

აღიარებულია და შეთანხმებულია, რომ ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები მხოლოდ იძებნება და მოცემულია იმ ზომით, რამდენადაც ამის გაკეთება დასაშვებია იქნება ევროკავშირის ნებისმიერი მოქმედი ანტიბიოკოტის წესის შესაბამისად, როგორცაა 2271/96 რეგულაცია (EC)

### 6.10.გ შესაბამისი პირები

(i) მსესხებელი იღებს ვალდებულებას (და უზრუნველყოფს, რომ მიმწოდებელი მიიღებს ვალდებულებას) მიიღოს გონივრულ ვადაში შესაბამისი ზომები ნებისმიერი შესაბამისი პირის მიმართ, რომელიც:

(1) გახდება სანქცირებული პირი;

(2) ექვემდებარება სასამართლოს განჩინებას პროფესიული მოვალეობის განხორციელების დროს ჩადენილ აკრძალულ საქციელთან დაკავშირებით; ან

(3) არის ან ხდება ოჯახის წევრი ან პირი, რომელიც ცნობილია, რომ პროექტის თანახმად ნებისმიერი შესაბამისი კონტრაქტორის ბენეფიციარი მფლობელის ახლო პარტნიორია;

იმის უზრუნველსაყოფად, რომ ასეთი პირი შეჩერებულია, გათავისუფლებულია ან ნებისმიერ შემთხვევაში გამოირიცხება ნებისმიერი მსესხებლის ან პრომოუტერის საქმიანობიდან (საჭიროების შემთხვევაში) სესხთან და პროექტთან დაკავშირებით.

(ii) მსესხებელი იღებს ვალდებულებას (და უზრუნველყოფს, რომ პრომოუტერი აიღებს ვალდებულებას) უზრუნველყოს, რომ მოხდეს ნებისმიერი პრეტენდენტის იდენტიფიცირება, რომლის ნებისმიერი ბენეფიციარი მფლობელი ოჯახის წევრი ან პირია, რომელიც ცნობილია, რომ ნებისმიერი შესაბამისი პირის ახლო პარტნიორია და მიიღება სათანადო ზომები ინტერესთა შესაძლო კონფლიქტის აღმოსაფხვრელად პროექტის ფარგლებში კონტრაქტების მინიჭებამდე.

ამ მუხლის მიზნებისათვის, თითოეულ "ოჯახის წევრს", "პირს", რომელიც ცნობილია როგორც ახლო პარტნიორი" და "ბენეფიციარი მესაკუთრე" აქვს მნიშვნელობა, რომელსაც მას ანიჭებს ევროკავშირის ფულის გათეთრების შესახებ მეოთხე დირექტივის შესაბამისი განმარტებები, რაც ექვემდებარება განმარტებებს ფულის გათეთრების შესახებ ევროკავშირის მეოთხე დირექტივაში, რომელსაც აქვს ზოგადი გამოყენება და არ შემოიფარგლება მხოლოდ პოლიტიკურად დაუცველი პირებით.

#### 6.11 ზოგადი წარმომადგენლობები და გარანტიები

მსესხებელი ბანკის წინაშე აცხადებს და უზრუნველყოფს, რომ:

(ა) მას აქვს უფლებამოსილება ადასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და განხორციელოს ყველა აუცილებელი კორპორატიული, აქციონერული და სხვა ქმედება, იმისთვის რომ მოახდინოს აღსრულება, მიწოდება და შესრულება თვითონ იმავე ვალდებულებებით;

(ბ) წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს სამართლებრივად ნამდვილ, ძალაში მყოფ და შესასრულებელ ვალდებულებებს;

(გ) წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღსრულება და მიწოდება, ვალდებულებები არ ეწინააღმდეგება ან არ არღვევსან მომავალშიც არ ეწინააღმდეგება და არ დაარღვევს:

(i) ნებისმიერი მოქმედ კანონს, წესდებას, წესს ან დებულებას, ან ნებისმიერ გადაწყვეტილებას, განკარგულებას ან ნებართვას, რომელსაც იგი ექვემდებარება;

(ii) ნებისმიერი შეთანხმებას ან მისთვის სავალდებულო სხვა ინსტრუმენტს, რომელსაც გონივრულად შეიძლება იყოს მოსალოდნელი, რომ ჰქონდეს არსებითი უარყოფითი გავლენა მის უნარზე, შესასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

(iii) მისი კონსტიტუციური კანონმდებლობის ნებისმიერ დებულებას;

(დ) 2020 წლის 20 იანვრის შემდეგ ადგილი არ ქონია არსებითად საზიანო ცვლილების შემთხვევას;

(ე) არ ქონია ადგილი შეთხვევას და გარემოებას, რომელიც წარმოადგენს გადახდის უუნარობის შემთხვევას და გრძელდება გამოუსწორებლად;

(ვ) არცერთი სასამართლო, არბიტრაჟი, ადმინისტრაციული სამართალწარმოება ან გამოძიება არ არის მიმდინარე ან, როგორც ცნობილია, არ არის საფრთხის ქვეშ ან არ იქნება სასამართლოს, საარბიტრაჟო ორგანოს ან უწყების წინაშე, რომელმაც გამოიწვია ან, თუ უარყოფითად დადგინდა, გონივრულად სავარაუდოა, რომ გამოიწვიოს მატერიალურად არასასურველი ცვლილება, ან არ არსებობს არც მისი რომელიმე შვილობილი კომპანიის წინააღმდეგ რაიმე დაუკმაყოფილებელი განაჩენი ან გადაწყვეტილება;

(ზ) მან მოიპოვა ყველა აუცილებელი ავტორიზაცია ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კანონიერად შესასრულებლად, და პროექტი და ყველა ასეთი ავტორიზაცია ძალაშია და მოქმედებს და დასაშვებია დასადასტურებლად;

(თ) პრომოუტერმა მოიპოვა ყველა საჭირო ავტორიზაცია პროექტთან დაკავშირებით, გარდა ავტორიზაციისა, რომლებიც არ არის საჭირო პროექტის განსახორციელებლად ამ წარმომადგენლობის წარმოდგენის დროს (ან განმეორებით) და რომელთა მიმართ არც მსესხებელი და არც პრომოუტერი აცნობიერებს რაიმე მიზეზს (გაკვეთა სათანადო და ფრთხილი გამოკვლევა), რომ პრომოუტერმა ვერ შეძლო ასეთი ავტორიზაციის მიღება დროულად;

(ი) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულებები იმავე რანგში რაც სხვა სესხის ინსტრუმენტით გათვალისწინებული მიმდინარე თუ მომავალი

არა უზრუნველყოფილი ვალდებულებები; გარდა იმ ვალდებულებებისა, რომლებიც კანონით ძირითადად სასურველია კომპანიების მიმართ;

(კ) იგი შესაბამისობაშია მუხლთან 6.5(ე) და მათი გამოცდილებითა და რწმენით (გაკეთებული აქვთ საჭირო და სრულყოფილი გამოკვლევა) არანაირი გარემოსდაცვითი ან სოციალური საჩივარი არ არის მის წინააღმდეგ;

(ლ) ეს არ (და არ დაარვევს სესხის გაცემის შემდეგ) არღვევს მასზე რაიმე შეზღუდვას, ფინანსური დავალიანების წარმოშობასთან დაკავშირებით;

(მ) პროექტი ხვდება ჩარჩო ხელშეკრულების ფარგლებში;

(ნ) იგი შეესაბამება ამ მე-6 მუხლის შესაბამისად გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას;

(ო) მისი ცოდნის შესაბამისად, მსესხებლის ან პრომოუტერის მიერ პროექტში ჩადებული თანხები არ არის უკანონო წარმოშობის, მათ შორის ფულის გათეთრების პროდუქტები ან დაკავშირებული ტერორიზმის დაფინანსებასთან;

(პ) არც მსესხებელმა, არც მიმწოდებელმა, არცერთმა შესაბამისმა პირმა და არც სხვა პირმა, რომელიც მოქმედებს მისი ან მათი სახელით, ან მისი ან მათი კონტროლის ქვეშ, არ ჩაუდენია და არ ჩაიდენს:

(i) ნებისმიერი აკრძალულ საქციელს პროექტთან ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ გარიგებასთან დაკავშირებით; ან

(ii) ტერორიზმის დაფინანსებასთან ან ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ უკანონო ქმედებას;

(ჟ) პროექტი (მათ შორის შეზღუდვის გარეშე, სესხით დაფინანსებული ან დასაფინანსებელი კონტრაქტების მოლაპარაკება, მინიჭება და შესრულება) არ იყო ჩართული ან წარმოშობდა აკრძალულ ქცევას; და

(რ) მსესხებელი და პრომოუტერი არ არიან სანქცირებული პირი; ან რაიმე სანქციის დარღვევით; და, მისი ცოდნისა და რწმენის გათვალისწინებით, არცერთი შესაბამისი პირი არ არის სანქცირებული ადამიანი ან არღვევს სანქციებს.

აღიარებულია და შეთანხმებულია, რომ 6.11 (რ) პუნქტებში მოცემული წარმომადგენლობების მოძიება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ამის გაკეთება დასაშვებია ევროკავშირის ნებისმიერი მოქმედი ანტი-ბოიკოტის წესის შესაბამისად, როგორცაა, რეგულაცია (EC) 2271/96.

ზემოთ მოცემული წარმომადგენლობები და გარანტიები გაკეთებულია ამ ხელშეკრულების თარიღზე და, გარდა (დ) ქვეპუნქტში მოცემული წარმომადგენლობისა, განმეორებულად ჩათვლება, როგორც ფაქტები და გარემოებები, რომლებიც მაშინ არსებობდა თითოეული ჩამორიცხვის თანხმობის მიღების დღეს, თითოეული ჩამორიცხვის თარიღსა და თითოეული გადახდის თარიღში.

## მუხლი 7

### უზრუნველყოფა

წინამდებარე მუხლი 7-ით გათვალისწინებული ვალდებულებები ძალაშია წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან მანამ სანამ იქნება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად ნებისმიერი აუთვისებელი თანხები ან კრედიტი ძალაში.

#### **7.1 თანაბარუფლებიანობის რიგითობა**

მსესხებელი უზრუნველყოფს, რომ მისი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდების ვალდებულებები თანაბარი იქნება ყველა მიმდინარე და

მომავალ არაუზრუნველყოფილ და არასუბსიდირებულ ვალდებულებებთან მიმართებაში, მსესხებელის ნებისმიერი საგარეო ვალის საშუალების ფარგლებში.

სახელდობრ, თუ ბანკი განახორციელებს მოთხოვნას მუხლი 10.1-ის შესაბამისად, ან თუ ადგილი ექნება და გრძელდება გადახდის უუნარობის შემთხვევა, მსესხებელის ან მისი ნებისმიერი სააგენტოს მიერ ნებისმიერი არაუზრუნველყოფილი ან საგარეო ვალის საშუალების ფარგლებში, მსესხებელი არ განახორციელებს (ან მისცემს უფლებას) ნებისმიერ გადახდას ამგვარი საგარეო ვალის საშუალების მიმართ (დაგეგმილი თუ სხვა მხრივ), თუ მაშინვე არ გადაიხდის, ან უზრუნველყოფს დასახელებულ ანგარიშზე თანხის გადახდას შემდეგ გადახდის დღეს, რომელიც ტოლია იმავე სესხის პროპორციისა, რაც აუთვისებელია წინამდებარე ხელშეკრულებით და ისევე როგორც პროპორციულია ამგვარი საგარეო ვალის საშუალების გადახდისა, ამ საშუალების მთლიან აუთვისებელ ამგვარი საგარეო ვალის საშუალების მიმართებაში. ამ მიზნით, საგარეო ვალის საშუალების ფარგლებში ნებისმიერი გადახდა, რომელიც განხორციელდა სხვა ამგვარი საშუალების გამოშვების მეშვეობით, რომლის მიმართებაში იგივე პირები მოაწერენ ხელს, რომლებიც ფლობენ საგარეო ვალის საშუალების მიმართ მოთხოვნებს, უნდა იქნენ უგულებელყოფილნი.

წინამდებარე ხელშეკრულებაში,

“საგარეო ვალის საშუალება” ნიშნავს:

(ა) საშუალებას, ანგარიშის ნებისმიერი მიღების ან დამტკიცების ჩათვლით, რომელიც ადასტურებს ან ადგენს სესხის, დეპოზიტის, ავანსის ან მსგავსი კრედიტის (შეზღუდვის გარეშე რეფინანსირების ან კრედიტის გაზრდის ხელშეკრულების ჩათვლით) გადახდის ვალდებულებას,

(ბ) ობლიგაციით, აქციით ან მსგავსი წერილობითი ვალით გათვალისწინებულ ვალდებულებას ან

(გ) ვალდებულების გარანტიას, რომელიც გამოწვეულია სხვა გამსესხებელის საგარეო ვალის საშუალების ფარგლებში; იმის გათვალისწინებით, რომ თითოეულ ამგვარ შემთხვევაში ასეთი ვალდებულება:

(i) რეგულირდება მსესხებელის კანონმდებლობისგან განსხვავებული საკანონმდებლო სისტემით;

(ii) გადაიხდება მსესხებელი ქვეყნის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში;

“გამოთავისუფლებული საგარეო ვალის ინსტრუმენტები” ნიშნავს საგარეო ვალის ინსტრუმენტებს, რომლის მაქსიმალური რაოდენობა არ აღემატება 30,000,000 ევროს, რომელიც განსაზღვრულია მსესხებელის მიერ ბანკისათვის წერილობითი შეტყობინების საშუალებით.

“შესაბამისი საგარეო ვალის ინსტრუმენტი” ნიშნავს საგარეო ვალის ინსტრუმენტს გარდა გამოთავისუფლებული საგარეო ვალის საშუალებისა.

თუ რომელიმე საგარეო ვალის საშუალება, რომელიც მუხლი 7.1-ის დებულებების შესაბამისად მსესხებელმა შეატყობინა ბანკს დასამტკიცებლად საგარეო ვალის ინსტრუმენტისაგან გათავისუფლების შესახებ, ნომინირებულია ევროსგან განსხვავებულ ვალუტაში, ბანკს შეუძლია ამ შეტყობინებული საგარეო ვალის ინსტრუმენტის საშუალებით განსაზღვროს ევროში ფრანკფურტში არსებული ევროპის ცენტრალური ბანკის გაცვლის კურსი თან წერილობითი შეტყობინების პერიოდში დადგენილი კურსით.

## 7.2 დამატებითი უზრუნველყოფა

იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი გაცემს ან უზრუნველყოფს რომ გაიცეს ნებისმიერ მესამე მხარეზე ნებისმიერი უზრუნველყოფა ნებისმიერი საგარეო ვალის საშუალების ფარგლებში

ან ნებისმიერი უპირატესობა და პრიორიტეტი აღნიშნულთან დაკავშირებით, მსესხებელმა, თუ ამას მოითხოვს ბანკი, უნდა წარმოადგინოს მსგავსი უზრუნველყოფა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თავის ვალდებულებებთან დაკავშირებით ან უზრუნველყოს ბანკი მსგავსი უპირატესობით და პრიორიტეტით.

### 7.3 დამატებითი პირობები

თუ მსესხებელი დადებს სხვა ფინანსურ კრედიტორთან დაფინანსების ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს რეიტინგის დაკარგვას ან შეთანხმებას ან სხვა დებულებას მისი ფინანსური კოეფიციენტების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით ან უფრო ხელსაყრელია შესაბამისი ფინანსური კრედიტორი, ვიდრე ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ექვივალენტი დებულება არის ბანკისთვის, მსესხებელი დაუყოვნებლივ აცნობებს ბანკს და გადასცემს ბანკს უფრო ხელსაყრელი დებულების ასლს. ბანკს შეუძლია მოითხოვოს, რომ მსესხებელმა დაუყოვნებლივ დადოს ხელშეკრულება ამ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რათა ბანკის სასარგებლოდ შეიქმნას ექვივალენტი დებულება

## მუხლი 8

### ინფორმაცია და ვიზიტები

#### 8.1 პროექტთან და პრომოუტერთან დაკავშირებული ინფორმაცია

მსესხებელი ვალდებულია და უნდა უზრუნველყოფს რომ პრომოუტერმა უზრუნველყოს (როგორც შესაძლებელია) :

(ა) წარუდგინოს ბანკს:

- (i) ინფორმაცია იმ შინაარსით და ფორმით და იმ პერიოდისთვის როგორც ეს მოცემულია განრიგი ა 2-ში ან როგორც დროდადრო სხვაგვარად შეთანხმდებიან მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებით; და
- (ii) ნებისმიერი ინფორმაცია ან დოკუმენტები, რომელიც ეხება პროექტთან მიმართებაში დაფინანსებას, შესყიდვას, განხორციელებას, პროექტის ოპერირებას და გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებს, რაც შეიძლება ბანკმა მოითხოვოს დროდადრო გონივრულ ვადაში.

იმის გათვალისწინებით, რომ თუ ამგვარი ინფორმაცია და დოკუმენტები არ არის ბანკისთვის წარდგენილი დროულად, და თუ მსესხებელი ვერ გამოასწორებს შეცდომას ბანკის მიერ წერილობით დადგენილ დროს, ბანკმა შესაძლოა თვითონ გამოასწოროს შეცდომა თავისი თანამშრომლების ან კონსულტანტების ან ნებისმიერ სხვა მესამე მხარის გამოყენების მეშვეობით, მსესხებელის ხარჯზე და მსესხებელის მიერ ამ პირებისთვის ყველა საჭირო დახმარების აღმოჩენის მეშვეობით;

(ბ) ბანკს ინფორმაციისათვის პროექტში შეტანილი ნებისმიერი არსებითი ცვლილება, ასევე ის ინფორმაცია, რომელიც გაცხადებული იყო წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღემდე მათ შორის დირეზულებაზე, დიზაინზე, გეგმებზე, გრაფიკზე ან პროექტისათვის გათვალისწინებულ ხარჯვის პროგრამის და დაფინანსების გეგმაზე;

(გ) დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს:

- (i) პროექტის შეჩერება ან გაუქმება;
- (ii) ნებისმიერი არსებითი ცვლილება კანონმდებლობაში, კონსტიტუციურ დოკუმენტში ან სააქციო სტრუქტურაში, რომელიც დაკავშირებულია პრომოუტერთან, რომელიც ეხება პროექტს ამ ხელშეკრულების თარიღის შემდეგ;

- (iii) ნებისმიერი ფასიანი ქალაქი, რომელიც მიენიჭა ან სავარაუდოდ უნდა გაიცეს პრომოუტერის მიერ მესამე მხარის სასარგებლოდ პროექტის რომელიმე აქტივზე; და
- (iv) პრომოუტერის მიერ ნებისმიერი მატერიალური აქტივის ნებისმიერი განკარგვა, რომელიც წარმოადგენს პროექტის ნაწილს;

(დ) დაუყოვნებლივ აცნობის ბანკს:

- (i) მსესხებელის ან პრომოუტერის მიერ მიღებულ ნებისმიერ ქმედებაზე ან პროტესტზე ან ჩივილზე რაც ინიცირებულია მესამე მხარის მიერ ან ნებისმიერ სასამართლო პროცესზე რომელიც დაწყებულია ან საშიშროებაა, რომ დაიწყოს მსესხებელის ან პრომოუტერის მიმართ გარემოს დაცვასთან, სოციალურ ან სხვა პროექტთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით, და
- (ii) ნებისმიერ ფაქტზე ან მოვლენაზე, რომელიც ცნობილია მსესხებელისათვის ან პრომოუტერისთვის, ან რაც არსებითად ზიანს მიაყენებს პროექტის განხორციელებას ან მართვას;
- (iii) მის მიერ ან პრომოუტერის მიერ რაიმე გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის შეუსაბამობა;
- (iv) ნებისმიერი შეჩერება, გაუქმება ან ცვლილება ნებისმიერ გარემოსდაცვით ან სოციალურ ბებართვაში,
- (v) ნამდვილი პრეტენზია ან პრეტენზია პროექტთან დაკავშირებით აკრძალულ საქციელთან ან სანქციასთან დაკავშირებით;
- (vi) ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც პრომოუტერმა მიიღო ამ ხელშეკრულების 6.10 მუხლის შესაბამისად (მთლიანობა);
- (vii) შესყიდვების საწყისი გეგმის (გეგმების) ნებისმიერი ცვლილება;
- (viii) ნებისმიერი ფაქტი ან მოვლენა, რომლის შედეგადაც პრომოუტერი, ან ნებისმიერი შესაბამისი პირი ან პრომოუტერის ნებისმიერი სხვა სათანადოდ უფლებამოსილი აგენტი ან წარმომადგენელი, რომელსაც აქვს პროექტთან დაკავშირებით უშუალო გადაწყვეტილების მიღებისა და კონტროლის უფლებამოსილება არის ან გახდება სანქცირებული პირი; და
- (ix) ნებისმიერი ფაქტი ან ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს ან გონივრულად მიაჩნებებს იმაზე, რომ (ა) რაიმე აკრძალული საქციელი ან რაიმე სანქციის დარღვევა მოხდა სესხთან ან პროექტთან დაკავშირებით, ან (ბ) პრომოუტერის საწესდებო კაპიტალში ან პროექტში ჩადებული ნებისმიერი თანხა მიღებულია უკანონო წარმოშობისგან;

და განსაზღვრავს სამოქმედო მოქმედებას ამ საკითხებთან დაკავშირებით;

(ე) ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმით და შინაარსით მიწოდება:

- (i) პროექტის განხორციელების შესახებ ყოველწლიური პროგრესის ანგარიშების ა.2 განრიგში მითითებული ფორმით;
- (ii) პროექტის დასრულების შესახებ ანგარიშის ა.2 განრიგში მითითებული ფორმით და ვადებში;
- (iii) თუ განსახლების მოქმედებები მოითხოვდა კონკრეტულ სქემებს პროექტის საბოლოო დიზაინის გამო, შესაბამისი განსახლების სამოქმედო გეგმებს.

(ვ) მიაწოდოს ბანკს, მოთხოვნის შემთხვევაში:

- (i) სადაზღვევო მოწმობა, რომელიც აჩვენებს მუხლი 6.5 (გ)-ის მოთხოვნების შესრულებას და;
- (ii) ყოველწლიურად, მოქმედი პოლიტიკის ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს პროექტის ნაწილში დაზღვეულ ქონებას, მიმდინარე პრემიების გადახდის დადასტურებასთან ერთად;

(ზ) დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება არსებითად იმოქმედოს პროექტის ხარჯებსა და შემოსავალზე;

(თ) შეინახოს და განახლებული ჰქონდეს დოკუმენტები, რომლებიც ეხება პროექტს (მათ შორის, გარემოსდაცვითი კვლევები, გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების არატექნიკური რეზიუმეები და ბუნების / ბიომრავალფეროვნების შეფასება, გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტის გეგმები, განსახლების სამოქმედო გეგმები და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმები) და დაუყოვნებლივ მიაწოდოს (ან უზრუნველყოს რომ პრომოუტერი მიაწვდის) ბანკს, ბანკის მოთხოვნის საფუძველზე;

(ი) აცნობოს ბანკს პრომოუტერის მიერ გადახდების შეჩერების ან პრომოუტერის წინააღმდეგ დაწყებული ნებისმიერი სასამართლო ან ადმინისტრაციული წარმოების შესახებ, თითოეულ შემთხვევაში ამგვარი მოვლენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში; და

(კ) დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს აუდიტორული დასკვნების შესახებ საქართველოს მთავრობის ან დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებულ პროექტთან დაკავშირებით.

## 8.2 მსესხებელთან და პრომოუტერთან დაკავშირებული ინფორმაცია

მსესხებელი ვალდებულია ან უნდა უზრუნველყოს რომ პრომოუტერმა:

(ა) მოთხოვნის შემთხვევაში, ყოველი ფინანსური წლის დასრულებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, ბანკს გადასცეს აუდიტის პროექტის ანგარიშები და აუდიტორის დასკვნები ინგლისურ ენაზე ან ინგლისურ ენაზე თარგმანით; და

(ბ) ასეთი დამატებითი ინფორმაცია, მტკიცებულება ან დოკუმენტი:

(i) მისი ზოგადი ფინანსური მდგომარეობა ან მე -6 მუხლის ვალდებულებებთან შესაბამისობის ასეთი სერთიფიკატები;

(ii) ბანკის სათანადო მოთხოვნების დაცვა, მოთხოვნის შემთხვევაში და გონივრულ ვადებში, მათ შორის, "იკოდე შენი მომხმარებელი" (KYC) ან მსგავსი საიდენტიფიკაციო პროცედურები;

რადგან ბანკმა შეიძლება ჩათვალოს საჭიროდ ან გონივრულად მოითხოვოს მისი მიწოდება გონივრულ ვადაში; და

(გ) უზრუნველყოს, რომ იგი აწარმოებს პროცედურებსა და ჩანაწერებს, რომლებიც სავსებით ასახავს პროექტის დაფინანსებას, შესრულებას და ოპერაციებს;

(დ) დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს:

(i) ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება კანონში, წესდებებში, შინაგანაწესებში, მემორანდუმებსა და ასოცირების წესდებებში, რომლებიც ეხება პროექტს წინამდებარე ხელშეკრულების თარიღიდან

(ii) ნებისმიერი ფაქტი, რომელიც მას ავალდებულებს წინასწარ გადაიხადოს ფინანსური დავალიანება ან ნებისმიერი ევროკავშირის დაფინანსება;

(iii) ნებისმიერი შემთხვევა ან გადაწყვეტილება რომელიც წარმოადგენს ან შეიძლება გამოიწვიოს შედეგი წინსწრებით გადახდის შემთხვევაში;

(iv) ნებისმიერი გადაწყვეტილება მისი მხრივ, დააფინანსოს გრანტის სახით ნებისმიერი ფასიანი ქაღალდი მისი ნებისმიერი აქტივის ფარგლებში მესამე პირის სასარგებლოდ;

(v) მისი ან პრომოუტერის მხრივ ნებისმიერი გადაწყვეტილება დათმოს, უარი თქვას პროექტის არსებითი ნაწილის საკუთრებაზე;

(vi) ნებისმიერი ფაქტი ან შემთხვევა რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მსესხებლის ნებისმიერი მოვალეობის არსებით შესრულებას წინამდებარე ხელშეკრულების

- შესაბამისად, ან პრომოუტერის ნებისმიერ ვალდებულებას, რომელიც გათვალისწინებულია შესაბამისი თანხის გადაცემის ხელშეკრულებით;
- (vii) ნებისმიერი გადაუხდელობის შემთხვევა, რომელსაც ადგილი ქონდა ან იმის საფრთხეა რომ ადგილი ექნება ან გათვალისწინებულია;
  - (viii) ნებისმიერი ფაქტი ან მოვლენა, რომელიც იწვევს რაიმე სახის გამოძიებას პრომოუტერის მენეჯმენტის ან ადმინისტრაციული ორგანოს წევრების მთლიანობასთან დაკავშირებით;
  - (ix) იმ მასშტაბით რის საშუალებასაც იძლევა კანონი, ნებისმიერი სასამართლო საქმისწარმოება, არბიტრაჟი, ადმინისტრაციული საქმისწარმოება ან გამოძიება სასამართლოს, ადმინისტრაციული ან მსგავსი საჯარო ორგანოების მიერ განხორციელებული, არის გარდაუვალი ან რომელიც მიმდინარეობს ნებისმიერი მსესხებლის ან მის კონტორლს დაქვემდებარებული უწყების, ან მსესხებლის მმართველი ორგანოს წარმომადგენლების წინააღმდეგ, სესხთან ან პროექტთან დაკავშირებულ კრიმინალურ დანაშაულთან დაკავშირებით;
  - (x) ნებისმიერი ფაქტი ან მოვლენა, რომლის შედეგადაც ხდება მსესხებელი ან მიმწოდებელი, ან ნებისმიერი შესაბამისი პირი მსესხებლის ან მიმწოდებლის, ან მათი რომელიმე მაკონტროლებელი სუბიექტის მიმართ სანქცირებული პირი;
  - (xi) მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულების 6.10 მუხლის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი ზომა;
  - (xii) ნებისმიერ სასამართლო პროცესი, არბიტრაჟი ან ადმინისტრაციულ ღონისძიებები ან გამოძიება, რომლებსაც ადგილი აქვთ ან მოსალოდნელია და რომლებმაც თუ უარყოფითად გადაწყდა, შესაძლოა გამოიწვიონ არსებითად საზიანო ცვლილების შემთხვევა; და
  - (xiii) ამ ხელშეკრულების სათანადო რატიფიცირება საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### 8.3 ბანკის ვიზიტები, წვდომის უფლებები და გამოძიება

(ა) მსესხებელი უზრუნველყოფს, რომ თანხის გადაცემის ხელშეკრულებაში პრომოუტერმა უზრუნველყოს ბანკის მიერ დასახელებული პირების მიერ, ასევე ევროკავშირის კომპეტენტური ინსტიტუტების, მათ შორის (შეზღუდვის გარეშე) ევრო გაერთიანების, ევროპული კომისიის და ევროპის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის მიერ დასახელებული პირების:

- (i) პროექტის შემადგენელი ადგილების, ნაგებობებისა და სამუშაოების ნახვა და ისეთი ქმედებების წარმოება რომ ისინი შეიძლება დაკავშირებული იყოს აღნიშნულ ხელშეკრულებასთან და პროექტის დაფინანსებასთან;
- (ii) მსესხებლისა და თითოეული პრომოუტერის წარმომადგენლებთან გასაუბრება და ნებისმიერ სხვა პირის კავშირებთან ხელის არ შეშლა, რომელიც ჩართულია ან განიცდის გავლენას პროექტის მიერ.
- (iii) პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით მსესხებლის და/ან პრომოუტერის ანგარიშებისა და ჩანაწერების წარმოება და იმის შესაძლებლობა რომ გააკეთოს პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ასლები, იმ მასშტაბით რის საშუალებასაც იძლევა კანონი.

(ბ) მსესხებელმა უნდა და ვალდებულია უზრუნველყოს, რომ თანხის გადაცემის ხელშეკრულებაში პრომოუტერი იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს ბანკის და ევროკავშირის სხვა კომპეტენტური ინსტიტუტების ან ორგანოების გამოძიებას აკრძალული ქცევის ნებისმიერ სავარაუდო ან საეჭვო შემთხვევასთან დაკავშირებით და მიაწვდის ბანკს ან უზრუნველყოფს, რომ ბანკისთვის აღმოჩენილი იქნას ყველა საჭირო დანმარება ამ მუხლში აღწერილი მიზნებისათვის.

(გ) მსესხებელი აღიარებს, რომ ბანკი შეიძლება ვალდებული იყოს ევროკავშირის ნებისმიერ კომპეტენტურ დაწესებულებას ან ორგანოს გადასცეს მსესხებლის შესახებ ინფორმაცია და პროექტი, ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისი სავალდებულო დებულებების შესაბამისად.

## მუხლი 9

### ხარჯები და გადასახდელები

#### **9.1 გადასახადები, გადასახდელები და მოსაკრებლები**

მსესხებელი გადაიხდის ყველა გადასახადს, გადასახდელს, მოსაკრებელს და ნებისმიერი ბუნების დაბეგვრის გადასახდელს, რეგისტრაციის გადასახდელის და ბეჭდის მოსაკრებელის ჩათვლით რაც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულების აღსრულებასთან ან განხორციელებასთან ან სხვა შესაბამის დოკუმენტთან და სესხისთვის ნებისმიერი გარანტიის უზრუნველყოფის შექმნასთან, სრულყოფასთან, რეგისტრაციასთან ან აღსრულებასთან რამდენადაც შესაძლებელია.

მსესხებელი გადაიხდის ყველა ძირითად თანხას, პროცენტს, ანაზღაურებას და სხვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას სრულად, ნებისმიერი ადგილობრივი ან ეროვნული მოსაკრებლის გამოკლების გარეშე, რასაც მოითხოვს კანონი ან სამთავრობო ორგანოსთან შეთანხმება ან სხვაგვარად. თუ მსესხებელი ვალდებულია გააკეთოს ამგვარი დაკავება ან გამოკლება, იგი მთლიანად გადაუხდის ბანკს, ისე, რომ გამოკლების შემდეგ ბანკის მიერ მიღებული წმინდა თანხა ეკვივალენტურია გადასახდელი თანხისა.

#### **9.2 სხვა ხარჯები**

მსესხებელი აანაზღაურებს ყველა ხარჯს და დანახარჯს, პროფესიონალური, საბანკო ან გაცვლის ხარჯების ჩათვლით, რომლებიც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულების მომზადებასთან, აღსრულებასთან, განხორციელებასთან და რეალიზაციასთან, ან წინამდებარე ხელშეკრულების ან ნებისმიერი დაკავშირებული დოკუმენტის ნებისმიერ ცვლილებასთან, დამატებასთან, უარის თქმასთან ან ნებისმიერ დაკავშირებულ დოკუმენტთან და სესხის ნებისმიერი უზრუნველყოფის შექმნასთან, ცვლილებასთან, მართვასთან, განხორციელებასთან და რეალიზაციასთან.

#### **9.3 გაზრდილი ხარჯი, კომპენსაცია და ჩამოწერა**

(ა) მსესხებელმა უნდა გადაუხადოს ბანკს ნებისმიერი თანხა ან დანახარჯი, რომლითაც დაზარალდა ბანკი, როგორც შედეგი ნებისმიერი კანონის შემოღებისა ან ნებისმიერი ცვლილებისა კანონში ან რეგულაციებში, (ან ინტერპრეტაციისას, ადმინისტრირებისას) რომელიც გაკეთებულია წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღის შემდეგ ნებისმიერ კანონთან ან რეგულაციებთან შესაბამისობისთვის, რის მიხედვითაც ან შედეგადაც:

- (i) ბანკი ვალდებულია წარმოშვას დამატებითი ხარჯები აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მისი ვალდებულებების დასაფინანსებლად და წარმოებისათვის; ან
- (ii) ბანკის კუთვნილი ნებისმიერი თანხა აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში ან ფინანსური შემოსავალი რომელიც მიიღება ბანკის მიერ მსესხებლისთვის სესხის ან კრედიტის დაფინანსებისას გარანტის სახით, შემცირებული და აღმოფხვრილია.

(ბ) აღნიშნული კონტრაქტის ან ნებისმიერი მისაღები კანონის ფარგლებში ბანკის ნებისმიერი სხვა უფლების შელახვის გარეშე, მსესხებელმა უნდა გაათავისუფლოს ან შეაჩეროს ბანკი ნებისმიერი დანაკარგისაგან ან მის წინააღმდეგ, რომელიც არის შედეგი ნებისმიერი გადახდის ან ნაწილობრივი გადახდისა, რომელიც ხორციელდება იმ ფორმით, რომელიც დადგენილია აღნიშნულ ხელშეკრულებაში.

(გ) ბანკმა შეიძლება ჩამოწეროს კუთვნილი ნებისმიერი ვადაგადაცილებული ვალდებულება მსესხებლის მხრიდან, აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში (იმდენად რამდენადაც ხელსაყრელად ბანკის მფლობელობაშია) ნებისმიერი ბანკის მიერ კუთვნილი

ვალდებულების (დამდგარი თუ არა) მსესხებლისათვის წინააღმდეგ, გადახდის ადგილის, დაჯავშნის ფილიალისა და ორივე ვალდებულების ვალუტის მიუხედავად. თუ ვალდებულებები სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკმა შეიძლება მოახდინოს ორივე ვალუტის კონვერტაცია საბაზრო გაცვლის კურსის მიხედვით ჩამოწერის მიზნებისათვის. თუ ორივე ვალდებულება არალიკვიდრებული და გაურვეველია, ბანკმა შეიძლება ჩამოწეროს ის თანხა რაც გამოთვლილია კეთილსინდისიერად და არის ამ ვალდებულების თანხა.

## მუხლი 10

### გადახდის უუნარობის შემთხვევები

#### 10.1 გადახდის მოთხოვნის უფლება

მსესხებელი დაუყოვნებლივ გადაიხდის სესხს მთლიანად ან ნაწილობრივ (როგორც მოთხოვნილია ბანკის მიერ), დარიცხულ პროცენტთან და ყველა სხვა დარიცხულ ან გადაუხდელ თანხებთან ერთად, ამ კონტრაქტის ფარგლებში ბანკის მიერ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, შემდეგი პირობების შესაბამისად.

##### 10.1ა დაუყოვნებლივ გადახდა

ბანკი დაუყოვნებლივ გააკეთებს ამგვარ მოთხოვნას წინასწარი შეტყობინების (წინასწარი გაფრთხილება) გარეშე ან რაიმე სასამართლო ან დამატებითი სასამართლო ნაბიჯის გარეშე:

(ა) თუ მსესხებელი არ იხდის აღნიშნული ხელშეკრულებით გადასახდელ თანხას გადახდის დღეს იმ ადგილას და იმ ვალუტაში რომელშიც იგი გადასახდელია, გარდა იმ შემთხვევებისა თუ:

- (i) მისი გადაუხდელობა გამოწვეულია ადმინისტრაციული და ტექნიკური შეცდომით;
- (ii) გადახდა განხორციელდა გადახდის ვადიდან 3(სამი) დღის განმავლობაში;

(ბ) თუ რაიმე ინფორმაცია ან დოკუმენტი გადაეცა ბანკს მსესხებლის მიერ ან მისი სახელით, ან რაიმე წარმომადგენლობა, გარანტია ან განცხადება, რომელიც გაკეთდა ან ჩაითვალა, რომ გაკეთებულია მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მიზნებისთვის ან ამ ხელშეკრულების მოლაპარაკებებთან ან შესრულებასთან დაკავშირებით არის ან ადასტურებს, რომ იყო არასწორი, არასრული ან შეცდომაში შემყვანი რაიმე მატერიალური თვალსაზრისით;

(გ) თუ მსესხებლის ან ნებისმიერი პრომოუტერის მიერ ნებისმიერ სესხთან მიმართებაში გადახდის უუნარობის შემთხვევაში ან ნებისმიერი ფინანსური ტრანზაქციის შედეგად წარმოშობილი ვალდებულების შემდეგ:

- (i) მსესხებელს ან განმახორციელებელს, როგორც შეიძლება იყოს შემთხვევა, მოსთხოვეს ან მოსთხოვენ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი შეღავათიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, წინსწრებით გადაიხადოს, ან შეაჩეროს ნებისმიერი გადახდის პერიოდამდე ნებისმიერი სესხი ან ვალდებულება ან
- (ii) ნებისმიერი ფინანსური ვალდებულება ასეთი სესხისა ან ვალდებულებისათვის გაუქმებულია ან შეჩერებულია;

(დ) თუ მსესხებელი ან განმახორციელებელი ვერ გადაიხდის სესხებს სათანადო დროს, ან შეაჩერებს თავის სესხებს, ან დადებს ან ეცდება დადოს კომპრომისული გარიგება თავის კრედიტორებთან;

(ე) თუ რაიმე სამართლებრივი პროცესი ან სხვა პროცედურა ან ნაბიჯი გადაიდგა გადახდების შეჩერებასთან, ნებისმიერი დავალიანების, დაშლის, ადმინისტრირების ან რეორგანიზაციის მორატორიუმთან (ნებაყოფლობითი შეთანხმებით ან სხვაგვარად) დაკავშირებით, მათ შორის განსაკუთრებით გაკოტრების შეზღუდვის (გაკოტრება), გადახდების შეჩერების (გადახდის შეჩერება) კრედიტორებთან შეთანხმების (გაკოტრების პრევენციული შემადგენლობა) და

სასამართლო ლიკვიდაციის (ლიკვიდაციის სასამართლო) წარმოების გარეშე ან ნებისმიერი ანალოგიური პროცედურა ან ნაბიჯი გადადგმულია ნებისმიერი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერ იურისდიქციაში, ან მიიღება ბრძანება ან მიიღება ეფექტური გადაწყვეტილება პრომოუტერის ლიკვიდაციის შესახებ, ან თუ პრომოუტერი გამოცხადდა გადახდისუუნაროდ ან შეწყვეტს ან გადაწყვეტს შეწყვეტოს თავისი ბიზნესის ან საქმიანობის მთელი ან რაიმე მნიშვნელოვანი ნაწილის განხორციელება, ან რომელიმე ზემოაღნიშნულის მსგავსი სიტუაცია წარმოიქმნება ნებისმიერი მოქმედი კანონის შესაბამისად;

(ვ) თუ მიმღები, ლიკვიდატორი, ადმინისტრატორი, ადმინისტრაციული მიმღები ან მსგავსი მოხელე აღნიშნულია, სათანადო იურისდიქციის სასამართლოს მიერ ან ნებისმიერი კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ან ნებისმიერი პირის მიერ, განმახორციელებლის ბიზნესისა და პრომოუტერის წილების ნებისმიერი ნაწილი ან ნებისმიერი საკუთრება წარმოადგენს პროექტის ნაწილს.

(ზ) თუ მსესხებელი ვერ შეასრულებს ნებისმიერ ვალდებულებას WB-ის სასესხო შეთანხმების ფარგლებში;

(თ) თუ მსესხებელი ვალდებულია შეასრულოს ბანკის ნებისმიერი ვალდებულება ან ევროკავშირის რესურსებიდან მისთვის ან სხვა ფინანსური სესხის მიმართ, რომელის ფარგლებიც იგი იმყოფება ბანკთან;

(ი) თუ ნებისმიერი ექსპროპრიაცია, მიტაცება, დაპატიმრება, ყადაღა, აღსრულება, სეკვესტრი ან სხვა პროცესი ძალაშია მსესხებლის საკუთრებაზე ან პროექტის ნაწილის ნებისმიერ ქონებაზე და არ სრულდება და რჩება ძალაში 14 (თოთხმეტი) დღის განმავლობაში;

(კ) თუ ადგილი აქვს არსებითად საზიანო ცვლილების შემთხვევას, მსესხებლის მდგომარეობასთან შედარებით, რომელიც მას ჰქონდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს; ან

(ლ) თუ მსესხებლისთვის არაკანონიერი ხდება ნებისმიერი მისი ვალდებულების შესრულება აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, ან აღნიშნული ხელშეკრულება არა არის ეფექტური მისი პირობების შესაბამისად ან დამტკიცებულია მსესხებლის მიერ მისი არაეფექტურობა მისი პირობების შესაბამისად;

(მ) თუ მოხდა რაიმე მოვლენა, რომელიც საფრთხეს უქმნის ყველა ტრანშის ან მისი ნაწილის მომსახურებას ან უარყოფითად იმოქმედებს უსაფრთხოებაზე;

(ნ) თუ ჩარჩო ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ მსესხებლის მიერ ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება წყვეტს შესრულებას, რაც ეხება ბანკის ან ევროკავშირის რესურსებიდან ნებისმიერი მსესხებლისათვის მსესხებლის ტერიტორიაზე სესხის აღებას;

(ო) თუ პრომოუტერი ვერ შეასრულებს პროექტის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულებას; ან

(პ) თუ პირობები ევროკავშირის გარანტიის ფარგლებში არ სრულდება ან თუ ევროკავშირის გარანტია წყვეტს მოქმედებას, ეფექტურობას ან აღარ არის აღსრულებადი მისი პირობების შესაბამისად.

### **10.1ბ მოთხოვნა, გამოსწორების თაობაზე შეტყობინების შემდეგ**

ბანკმა ასევე შესაძლოა გააკეთოს ამგვარი მოთხოვნა წინასწარი შეტყობინების (წინასწარი გაფრთხილება) გარეშე ან რაიმე სასამართლო ან დამატებითი სასამართლო ნაბიჯის გარეშე (ქვემოთ მითითებული ნებისმიერი შეტყობინების ზიანის მიყენების გარეშე):

(ა) თუ მსესხებელი არ ასრულებს ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულებას (გარდა 10.1.ა-ში მითითებული დებულებისა); ან

(ბ) თუ მსესხებელთან ან პროექტთან მიმართებაში პუნქტებში მოცემული ნებისმიერი ფაქტი არსებითად იცვლება და არ არის არსებითად შესწორებული და თუ ამგვარი ცვლილება ზიანს

აყენებს ბანკის ინტერესებს როგორც გამსახებელის მსესხებელთან მიმართებაში ან ამგვარ ცვლილებას უარყოფითი ეფექტი აქვს პროექტის განხორციელებაზე ან ოპერირებაზე,

თუ შეუსრულებლობა ან გარემოება, რაც იწვევს შეუსრულებლობას არ გამოსწორდა და არ გამოსწორდება სათანადო დროში როგორც ეს განსაზღვრულია ბანკის მიერ მსესხებელისათვის წარდგენილ შეტყობინებაში.

### 10.2 კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებები

მუხლი 10.1 არ შეზღუდავს კანონით გათვალისწინებულ ბანკის ნებისმიერ სხვა უფლებას რათა მოითხოვოს სესხის წინსწრებით გადახდა.

### 10.3 ანაზღაურება

#### 10.3ა ტრანშები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით

ნებისმიერი ფიქსირებულ განაკვეთთან ტრანშთან მიმართებაში 10.1 მუხლის ფარგლებში გაკეთებული მოთხოვნის შემთხვევაში, მსესხებელი გადაუხდის ბანკს მოთხოვნილ თანხას წინასწარ გადასახდელ თანხასთან ერთად, ნებისმიერ გადასახდელ ძირითად თანხაზე. ასეთი წინასწარ გადასახდელი თანხის (i) დარიცხვა ხდება ბანკის მოთხოვნის შესახებ შეტყობინებაში აღნიშნული გადახდის თარიღიდან და გამოითვლება იმის საფუძველზე, რომ წინასწარი გადახდა განხორციელდება განსაზღვრულ თარიღის მიხედვით, და (ii) ბანკის მიერ მსესხებელისათვის გადაცემულ თანხად, როგორც ზედმეტი ამჟამინდელი ღირებულება (გამოანგარიშებულია წინასწარი გადახდის თარიღის მიხედვით), ასეთის არსებობის შემთხვევაში;

(ა) პროცენტი, რომელიც ერიცხება ამის შემდეგ წინასწარ გადახდილ თანხას წინასწარი გადახდის დღიდან დაფარვის თარიღამდე, თუ იგი არ არის წინასწარ გადახდილი;

ბ) პროცენტი, რომელიც იმ პერიოდში დარიცხული იქნება, გადანაწილების მაჩვენებლის მიხედვით, 0.19% -ით ნაკლები (ცხრამეტი საბაზისო პუნქტი).

აღნიშნული მიმდინარე ღირებულება დაანგარიშდება ფასდაკლებით, რომელიც იმ გადანაწილების განაკვეთის ტოლია, რომელიც ვრცელდება შესაბამისი ტრანშის ყოველი შესაბამისი გადახდის თარიღისთვის.

#### 10.3 ბ ტრანშები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით

ნებისმიერი ფიქსირებულ განაკვეთთან ტრანშთან მიმართებაში 10.1 მუხლის ფარგლებში გაკეთებული მოთხოვნის შემთხვევაში, მსესხებელი გადაუხდის ბანკს მოთხოვნილ თანხას პლიუს 0.19% (ცხრამეტი მეასედი) წლიურად, რაც გამოითვლება და დაერიცხება გადასახდელ ძირითად თანხას, ისევე როგორც ეს მოხდა პროცენტის შემთხვევაში, თუ აღნიშნული თანხა დარჩა გადაუხდელი ტრანშის შესაბამის ამორტიზაციის თავდაპირველი გრაფიკის შესაბამისად, ძირითადი თანხის დაფარვის თარიღამდე.

ღირებულება გამოითვლება დისკონტის განაკვეთით, რომელიც ტოლია თითოეული გადახდის დღისთვის შესაბამისი განაწილების საპროცენტო განაკვეთისა.

#### 10.3 გ ზოგადი პირობები

10.3 მუხლის შესაბამისად მსესხებლის მიერ გადასახდელი თანხები გადახდილ უნდა იყოს ბანკის მოთხოვნაში აღნიშნული წინასწარი გადახდის თარიღით.

#### 10.4 უარის არ თქმა

არ შესრულება ან დაყოვნება ან ერთიანი ან ნაწილობრივი გამოყენება ბანკის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების ან დაცვის საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით განიხილება როგორც უარი აღნიშნულ უფლებაზე ან დაცვის საშუალებაზე. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და დაცვის საშუალებები არის კუმულაციური და არ გამოყოფს კანონით გათვალისწინებულ ნებისმიერ უფლებებს ან სამართლებრივი დაცვის საშუალებებს.

### მუხლი 11

#### კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა, სხვადასხვა

##### 11.1 მმართველი კანონმდებლობა

წინამდებარე ხელშეკრულება და ნებისმიერი არა სახელშეკრულებო ვალდებულება, რომლებიც კონტრაქტით არ არის გათვალისწინებული და რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულებასთან, რეგულირდება ლუქსემბურგის კანონმდებლობით.

##### 11.2 დავების გადაწყვეტა

ა) ეს 11.2 მუხლი უნდა დარეგულირდეს ჰოლანდიის კანონმდებლობით.

(ბ) ნებისმიერი დავა, პრეტენზია, განსხვავება ან დაპირისპირება, რომელიც წარმოიშობა ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ან რაიმე კავშირი აქვს მასთან, მათ შორის, რაიმე დავა მის არსებობასთან, მოქმედებასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან, დარღვევასთან ან შეწყვეტასთან, ან მისი ბათილობის შედეგებთან და დავა, რომელიც წარმოიშობა მისგან ან მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სახელშეკრულებო ვალდებულებასთან დაკავშირებით (ამ მუხლის მიზნებისათვის დავა), გადაეცემა და საბოლოოდ გადაწყდება არბიტრაჟით UNCITRAL- ის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად (ამ მუხლის მიზნებისათვის, წესები).

(გ) წესები მოცემულია ამ მუხლის მითითებით და ამ მუხლში გამოყენებული კაპიტალიზებულ ტერმინებს, რომლებიც სხვაგვარად არ არის განსაზღვრული ამ ხელშეკრულებაში, აქვთ მოცემული მნიშვნელობა წესებში.

(დ) დანიშვნის უფლებამოსილი ორგანო უნდა იყოს საერთაშორისო სავაჭრო პალატა.

(ე) არბიტრების რაოდენობა უნდა იყოს სამი. მხარეთა მიერ დასახელებული არბიტრები ერთობლივად ასახელებენ მესამე არბიტრს, რომელიც შეასრულებს საარბიტრაჟო ტრიბუნალის პრეზიდენტის ფუნქციას.

(ვ) საარბიტრაჟო ადგილს ან იურიდიულ ადგილს წარმოადგენს ჰააგა, ნიდერლანდები.

(ზ) საარბიტრაჟო განხილვის დროს გამოყენებული ენაა ინგლისური. სამართალწარმოებასთან დაკავშირებით წარდგენილი ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე, ან, თუ სხვა ენაზეა, თან ახლავს ინგლისური თარგმანი.

(თ) საარბიტრაჟო ტრიბუნალი ხელმძღვანელობს საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვაში მტკიცებულებების აღების შესახებ IBA- ს წესებით, რომლებიცაა საარბიტრაჟო განხილვის დაწყების დღეს.

(ი) მხარემ ან მხარეებმა, რომლებიც იწყებენ საარბიტრაჟო განხილვას ამ მუხლის შესაბამისად, არბიტრაჟის სხვა მხარეს ან არბიტრაჟის მხარეებს უნდა აცნობონ საარბიტრაჟო ცნობით, ამ კონტრაქტის შესაბამისად შეტყობინებების გაგზავნისთვის მე-12 მუხლში (შეტყობინებები) მოცემულ მისამართებზე და ამ მუხლით გათვალისწინებული წესით. მხარემ ან მხარეებმა, რომლებიც იწყებენ საარბიტრაჟო განხილვას, უნდა უზრუნველყონ, რომ საარბიტრაჟო შეტყობინების ასეთი ფორმა და შინაარსი შეესაბამებოდეს წესების მე -3 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

(კ) მხარეები იღებენ ვალდებულებას, დაიცვან ყველა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, აგრეთვე საარბიტრაჟო მიზნისთვის შექმნილი წარმოების ყველა მასალა და სხვა მხარის მიერ წარმოებული სხვა დოკუმენტები, რომლებიც წარმოებაში არ არის საჯარო საკუთრებაში, იმ ზომით, რამდენადაც შეიძლება მოითხოვონ გამყდარება მხარის იურიდიული მოვალეობის ფარგლებში, დაიცვან ან განაგრძონ სასამართლოს ან სხვა სასამართლო ორგანოს წინაშე გადაწყვეტილების აღსრულების სამართლებრივი უფლება.

(ლ) თითოეული მხარე უარს ამბობს ყოველგვარ წინააღმდეგობაზე, იმის გამო, რომ დავა გადაწყდა ამ 11.2 მუხლში მოცემული წესით, საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მიღებული დავის მოქმედების და / ან აღსრულების შესახებ დავის გადაჭრის გზით.

(მ) ექვის თავიდან აცილების მიზნით, როდესაც არბიტრაჟი ინიშნება წინამდებარე კონტრაქტის საფუძველზე, მთელი მისი გადაწყვეტილება მიჩნეულია ნიუ-იორკის 1958 წლის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების შესახებ კონვენციის მიზნებისთვის, რაც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულებით.

(ნ) ამ 11.2 მუხლში არაფერმა არ უნდა შეაფერხოს, გააუქმოს ან სხვაგვარად გააფუჭოს ბანკის პრივილეგიები და იმუნიტეტები, რომლებიც განსაზღვრულია ევროკავშირის ხელშეკრულებებში, მათ შორის, შეუზღუდავად, მისი არქივების ხელშეუხებლობა და ბანკი პირდაპირ იტოვს თავის უფლებებს ამ მხრივ.

(ო) საარბიტრაჟო ტრიბუნალის ნებისმიერი საბოლოო გადაწყვეტილება სავალდებულოა მისი დადების დღიდან, და ამით მხარეები უარს იტყვიან კანონის გასაჩივრების ნებისმიერ უფლებაზე და / ან არსებითად არსებულ სასამართლოზე. UNCITRAL- ის საარბიტრაჟო წესების მიუხედავად, საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ მიიღებს ან უზრუნველყოფს და მსესხებელი არ შეეცდება ნებისმიერი სასამართლო ორგანოსგან გამოიყენოს დროებითი ზომები ან წინასწარი გადაწყვეტილება ბანკის წინააღმდეგ.

(პ) მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლად დაიცვას და შეასრულოს ნებისმიერი ასეთი გადაწყვეტილება თავის ტერიტორიაზე.

(ე) მსესხებლის მიერ წინა პუნქტში ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაჯილდოების დღიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში, მაშინ, რამდენადაც მსესხებელს შეუძლია ნებისმიერ იურისდიქციაში მოითხოვოს საკუთარი თავის ან მისი აქტივების იმუნიტეტი სარჩელის, აღსრულების, მიჯაჭვულობის ან სხვა სამართლებრივი პროცესისგან, ამით მსესხებელი შეუცვლელად თანხმდება, რომ არ ექნება მოთხოვნა და ამით შეუქცევადად უარს ამბობს იმუნიტეტზე, რამდენადაც ეს დაშვებულია ასეთი იურისდიქციის კანონმდებლობით. ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, იმუნიტეტის ასეთი გაუქმება არ ვრცელდება მსესხებლის ნებისმიერ აქტივზე, რომელიც გათავისუფლებულია აღსრულებისაგან ნებისმიერი მოქმედი კანონის ან რეგულაციის შესაბამისად, (i) ახლანდელი ან მომავალი "მისიის შენობა", მათ შორის ნებისმიერი ბანკი 1961 წელს ხელმოწერილი დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციაში განსაზღვრული ანგარიშები, "საკონსულო შენობა", მათ შორის 1963 წელს ხელმოწერილი საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციაში განსაზღვრული საბანკო ანგარიშები ან სხვაგვარად გამოყენებული საქართველოს დიპლომატიის ან საკონსულო მისიის ან სხვა უწყების ან ინსტრუმენტული ორგანოს მიერ. მათი (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია პროცესის მომსახურების განსახორციელებლად); (ii) სამხედრო ხასიათის ქონება ან სამხედრო ორგანოს ან თავდაცვის სააგენტოს კონტროლის ქვეშ არსებული ქონება; (iii) საქართველოში განთავსებული და სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის ან ნებისმიერი სხვა მოქმედი სამართლებრივი ნორმის საფუძველზე გათავისუფლებული ქონება.

### 11.3 მოქმედების ადგილი

თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული ბანკის მიერ წერილობით, ხელშეკრულების შესაბამისად შესრულების ადგილი უნდა იყოს ბანკის ადგილსამყოფელი ქვეყანა.

### 11.4 გადასახდელი თანხების დადასტურება

ნებისმიერი კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებისთვის, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულებასთან, ბანკის სერტიფიკატი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ თანხასთან ან განაკვეთთან დაკავშირებით შეცდომის არარსებობის შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს ამგვარი თანხის ან განაკვეთის დადასტურებად.

### 11.5 მთლიანი ხელშეკრულება

წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ბანკსა და მსესხებელს შორის მთლიან ხელშეკრულებას კრედიტის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და ანულირებს ნებისმიერ წინა ხელშეკრულებას, იქნება ეს გამომხატული თუ ნაგულისხმევი, იმავე საკითხზე.

### 11.6 იურიდიული ძალის არ ქონა

თუ ნებისმიერ დროს ხელშეკრულების რომელიმე პირობა არის ან გახდება არასამართლებრივი, იურიდიული ძალის არმქონე ან არააღსრულებადი ნებისმიერი მიმართულებით, ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობით, ასეთი არასამართლებრივობა, იურიდიული ძალის არქონა, არააღსრულებადობა ან არაეფექტურობა არ ახდენს ზეგავლენას:

(ა) სამართლებრივობაზე, იურიდიული ძალის ქონაზე ან აღსრულებადობაზე ამ იურისდიქციაში ხელშეკრულების ნებისმიერ პირობაზე ამ იურისდიქციაში ხელშეკრულების ნებისმიერი მიმართულებით; ან

(ბ) სამართლებრივობაზე, იურიდიული ძალის ქონაზე ან აღსრულებადობაზე სხვა იურისდიქციაში ხელშეკრულების ნებისმიერ პირობაზე ან ამ ხელშეკრულების ეფექტურობაზე ასეთი სხვა იურისდიქციის კანონმდებლობის თანახმად.

## 11.7 ცვლილებები

ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი შესწორება შეიტანება წერილობით და მას ხელს აწერენ მხარეები. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი შესწორება განპირობებულია და იგი ძალაში შევა მხოლოდ ბანკის მიერ მტკიცებულებების მიღების შემდეგ, რომლითაც დასტურდება, რომ ამ ხელშეკრულებაში შესწორება სათანადოდ იქნა რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის მიერ. ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი შესწორება ძალაში არ შევა მანამ, სანამ ბანკი არ გაუგზავნის მსესხებელს წერილს, რომელიც დაადასტურებს მის მიერ ზემოთ აღნიშნული მტკიცებულებების მიღებას და არ უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებაში შესაბამისი შესწორების ძალაში შესვლის თარიღს და ეს წერილი იქნება დამადასტურებელი მტკიცებულება იმისა, რომ ეს ხელშეკრულება ძალაში შევიდა.

ეჭვის თავიდან ასაცილებლად, სანამ ბანკი არ გამოაქვეყნებს ამ წერილს, არც მსესხებელს და არც ბანკს არ ექნებათ რაიმე პრეტენზია ერთმანეთის მიმართ ან ეკისრებათ რაიმე პასუხისმგებლობა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესაბამის შესწორებასთან დაკავშირებით.

## 11.8 ასლები

წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება მსრულდეს ნებისმიერი რაოდენობის ასლებად, ყველა მათგანი ერთად აღებული წარმოადგენს ერთი და იგივე ინსტრუმენტს. თითოეული ასლი ორიგინალია, მაგრამ ყველა ასლი ერთად წარმოადგენს ერთ და იმავე ინსტრუმენტს.

## მუხლი 12

### დასკვნითი დებულებები

## 12.1 შეტყობინებები

### 12.1.1 შეტყობინების ფორმა

- (ა) ამ ხელშეკრულების ფარგლებში მოცემული ნებისმიერი შეტყობინება ან სხვა კომუნიკაცია უნდა იყოს წერილობითი ფორმით და, თუ სხვა რამ არ არის მითითებული, შეიძლება განხორციელდეს წერილით ან ელექტრონული ფოსტით.
- ბ) შეტყობინებებისთვის და სხვა კომუნიკაციებისთვის, რომლისთვისაც წინამდებარე ხელშეკრულებით მოცემულია ფიქსირებული პერიოდები ან რომლებიც ადრესატს ავალდებულებს ფიქსირებულ პერიოდებს, შესაძლოა განხორციელდეს ხელზე მიტანის, რეგისტრირებული წერილის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მხარის მიერ ასეთი შეტყობინებების და კომუნიკაციების მიღების დღედ ჩაითვლება:
  - (i) ხელით ჩაბარებულ ან რეგისტრირებულ წერილთან დაკავშირებით მიღების თარიღში;

- (ii) ბანკში მსესხებლის მიერ გაგზავნილი ნებისმიერი ელექტრონული მეილის შემთხვევაში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკი მიიღებს კითხვადი ფორმით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიმართულია ბანკის სახელზე და ითვალისწინებს ბანკს ამ მიზნით.
- (გ) მსესხებლის მიერ ბანკისთვის გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ელექტრონული ფოსტის საშუალებით უნდა:
  - (i) შეიცავდეს სათაურთან ერთად კონტრაქტის ნომერს; და
  - (ii) იყოს ელექტრონული სურათის ფორმით წარმოდგენილი, რომელიც რედაქტირების საშუალებას არ აძლევს მომხმარებელს (pdf, tif ან სხვა საყოველთაოდ ცნობილი ფორმატის სახით), რომელიც ხელმოწერილი იქნება მსესხებლის ერთი უფლებამოსილი პირის ან ორი ან ორზე მეტი ერთობლივად უფლებამოსილი პირის მიერ, რომელიც მიზნული იქნება ელ-ფოსტაზე.
- (დ) მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის გათვალისწინებით გამოცემული შეტყობინებები, სადაც ბანკი მოითხოვს, უნდა იქნეს ბანკისთვის გაგზავნილი დამაკმაყოფილებელ დადასტურებასთან ერთად, რომ ამ პირობის ან პირობის მსესხებლის სახელით გააჩნიათ უფლებამოსილება ხელი მოაწერონ ამგვარ შეტყობინებებს და ამ პირობის ან პირობის ხელმოწერის დამადასტურებელ უფლებამოსილებასთან ერთად.
- (ე) ელექტრონული ფოსტის შეტყობინებების ან ამ 12.1 მუხლის შესაბამისად განხორციელებული კომუნიკაციის მოქმედებაზე ზემოქმედების გარეშე, შემდეგი შეტყობინებები, კომუნიკაციები და დოკუმენტები ასევე რეგისტრირებული წერილით გაეგზავნება შესაბამის მხარეს არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღეს:
  - (i) ჩამორიცხვის დადასტურება;
  - (ii) გადავადებასთან, გაუქმებასთან და ნებისმიერი ტრანშის ჩამორიცხვის შეჩერებისასთან, ბაზრის ჩაშლის შემთხვევასთან, წინსწრებით გადახდის თხოვნასთან, წინასწარი გადახდის შეტყობინებასთან, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევასთან, გადახდის მოთხოვნის უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება; და
  - (iii) ბანკის მოთხოვნით ნებისმიერი სხვა შეტყობინება, კომუნიკაცია და დოკუმენტები.
- (ვ) მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი ზემოაღნიშნული კომუნიკაცია (მათ შორის ელექტრონული ფოსტით) არის კომუნიკაციის მიღებული ფორმა, წარმოადგენს დასაშვებ მტკიცებულებას სასამართლოში და ექნება იგივე მტკიცებითი ხასიათი, როგორც ხელთ არსებულ შეთანხმებას.

### 12.1.8 მისამართები

თითოეული მხარის მისამართი და ელექტრონული ფოსტის მისამართი (და დეპარტამენტის ან ოფიცის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ვისკენაც კომუნიკაცია იქნება მიმართული) თითოეული მხარისთვის ნებისმიერი კომუნიკაციისთვის ან დოკუმენტის მისაღებად უნდა იყოს შემდეგი:

ბანკისთვის	საყურადღებოდ: OPS NC 3 100 კონრად ადენაუერის ბულვარი L- 2950 ლუქსენბურგი
------------	--

მსესხებლისთვის	<p>ელ-ფოსტა: <a href="mailto:ops-nc3-projects@eib.org">ops-nc3-projects@eib.org</a>  საყურადღებოდ: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი  საქართველოს ფინანსთა სამინისტრო  გორგასალის ქუჩა 16,  0114 თბილისი,  საქართველო</p>
ასლი	<p>ელ-ფოსტა: <a href="mailto:publicdebt@mof.ge">publicdebt@mof.ge</a>  ააიპ ოუფენ ნეტი  ჯანო ზაგრატიონის ქუჩა 6, სართული 7  0160 თბილისი  საქართველო</p> <p>ელ-ფოსტა: <a href="mailto:office@opennet.ge">office@opennet.ge</a></p>

**12.1.გ კომუნიკაციის დეტალების შეტყობინება**

ბანკი და მსესხებელი დაუყოვნებლივ ატყობინებენ მეორე მხარეს წერილობით საკომუნიკაციო დეტალებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

**12.2 ინგლისური ენა**

(ა) კონტრაქტთან დაკავშირებული ქვემოთ მოცემული ნებისმიერი შეტყობინება ან კომუნიკაცია უნდა იყოს ინგლისურ ენაზე.

(ბ) კონტრაქტით გათვალისწინებული ყველა სხვა დოკუმენტი უნდა იყოს:

- (i) ინგლისურად; ან
- (ii) თუ არ იქნება ინგლისურად, მაშინ უნდა იყოს ნათარგმნი ინგლისურად, ან პრომოუტერის მიერ დამოწმებული ინგლისური თარგმანი (როგორც ამას მოითხოვს ბანკი) მაგრამ შეუთავსებლობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ინგლისურს.

**12.3 ხელშეკრულების ძალაში შესვლა**

წინამდებარე კონტრაქტი ძალაში შედის მხოლოდ ბანკის თანხმობის შემდეგ მას შემდეგ რაც ბანკს წარედგინება შეტყობინება რომ ეს ხელშეკრულება არის რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის მიერ.

ეს ხელშეკრულება არ ამოქმედდება მანამ, სანამ ბანკი არ გაუგზავნის მსესხებელს წერილს, რომელიც დაადასტურებს ზემოაღნიშნული მტკიცებულებების მიღებას და მიუთითებს ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღს („ეფექტურობის თარიღი“), და ასეთი წერილი იქნება საბოლოო მტკიცებულება იმისა, რომ ეს ხელშეკრულება ეფექტური გახდა.

გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით, იმ დრომდე სანამ ასეთ წერილს გამოაგზავნის ბანკი, არც მსესხებელს და არც ბანკს არ აქვთ უფლებები დავალდებულებები ერთმანეთის მიმართ კონტრაქტთან დაკავშირებით. თუ ძალაში შესვლის დრო არ დადგა აღნიშნულ თარიღამდე 12 თვით ადრე აღნიშნული კონტრაქტის თარიღის შემდეგ, აღნიშნული კონტრაქტი შეიძლება შეწყდეს (თუ ასეთი 12 თვიანი პერიოდი არ არის გახანგძლივებული წერილობითი შეთანხმებით მხარეებს შორის) და არც მსესხებელს და არც ბანკს არ აქვს პრეტენზიები ერთმანეთის მიმართ ან აქვთ აღებული პასუხისმგებლობა აღნიშნული კონტრაქტის ფარგლებში.

12.4 აღწერები, განრიგები და დანართები

აღწერები და ქვემოთ მოცემული განრიგები შეადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების ნაწილს:

**Error! Reference source not found.** ა პროექტის სპეციფიკაცია და ანგარიშგება

**Error! Reference source not found.** ბ შესაბამისი ბანკთაშორისი ტარიფების განმარტებები  
**Error! Reference source not found.**

**Error! Reference source not found.** გ ჩამორიცხვის ან შეთავაზების/თანხმობის ფორმა

**Error! Reference source not found.** სერთიფიკატის ფორმა მსესხებლისგან

შემდეგი დანართები თან ერთვის:

**Error! Reference source not found.** I ხელმომწერი პირის უფლებამოსილება

მხარეებმა განაცხადეს, რომ ეს ხელშეკრულება უნდა შესრულდეს ინგლისურ ენაზე 4 (ოთხ) ასლად და შესაბამისად მათი სახელით დარია სპივაკმა, იურიდიულმა მრჩეველმა და ეკატერინე გუნცაძემ, მინისტრის მოადგილემ, წინამდებარე ხელშეკრულების თითოეული გვერდის ინიცირება მოახდინეს.

თბილისი, ამ 25 ნოემბერს 2021; და  
ლუქსემბურგში, ამ 17 ნოემბერს 2021

ხელმოწერილია საქართველოს სახელით

საქართველო როგორც მსესხებელი

სახელი: \_\_\_\_\_ ლაშა ხუციშვილი

თანამდებობა: ფინანსთა მინისტრი

ხელმოწერილია ევროპის საინვესტიციო ბანკის სახელით

სახელი: \_\_\_\_\_ ჯაკომო ლენსი  
ორლანდი

\_\_\_\_\_ ნინა ვან დორენი

თანამდებობა: სამმართველოს  
ხელმძღვანელი

\_\_\_\_\_ სამმართველოს  
ხელმძღვანელი

## პროექტის სპეციფიკაცია და ანგარიშგება

### ა.1 ტექნიკური აღწერა

#### მიზანი, მდებარეობა

პროექტის მიზანია შეამციროს ქვეყნის ციფრული დაყოფა და ეხება დიზაინსა და ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის მთავარი საყრდენი ქსელის მშენებლობას და დიზაინს რეგიონულ დონეზე საქართველოში, რომელიც დააკავშირებს დაახლოებით 1 000 მოშორებულ სოფლის დასახლებას, რომელთა მოსახლეობა დაახლოებით 500 000 ადამიანია. ახალი ქსელი იმუშავებს, როგორც ღია დაშვების მქონე ინფრასტრუქტურა, მხოლოდ საბითუმო მომსახურების უზრუნველსაყოფად და საცალო ტელეკომუნიკაციების ოპერატორებს საშუალებას მისცემს, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის მომსახურებები შესთავაზონ მოსახლეობას ამჟამინდელ სერვისულ სოფლებში.

#### აღწერა

იუფენ ნეტის გადამცემი ქსელი შედგება დაახლოებით 5 000 კმ ოპტიკურ ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურისგან, რომელიც მიაღწევს დაახლოებით 1 000 დასახლებას, რომლებიც არ არის დაფარული კერძო ოპერატორების არსებული მაღალი სიმძლავრის ქსელით, კომერციული სიცოცხლისუნარიანობისა და საზოგადოების მხარდაჭერის არარსებობის გამო. ქსელი მოიცავს ახლად აშენებულ სეგმენტებს და, სადაც შესაბამისი არსებული ინფრასტრუქტურა არსებობს, ის გამოიყენებს ამ ინფრასტრუქტურას საიჯარო შესაძლებლობებით გამოყენების უფლების დაუცველი უფლების (IRU) შეძენის ან შენარჩუნების განმეორებითი საფასურის საშუალებით, არსებული სადინრების ან ბოძების შემთხვევაში.

პასიური ქსელის თვალსაზრისით, იგი შედგება ორი შრისგან: ბირთვი, რომელიც დააკავშირებს კვანძებს და აგრეგაციის კვანძები და გამანაწილებელი კვანძები, რომლებიც დააკავშირებენ (1 000 დასახლებული პუნქტიდან თითოეულში) წვდომის კვანძებს აგრეგაციის კვანძებთან.

აქტიური ქსელი აშენდება DWDM (Dense Wavelength Division Multiplex) საყრდენის საფუძველზე, რომელიც შედგება რამდენიმე რგოლისგან, რათა უზრუნველყოს ჭარბი დონის საჭირო რაოდენობა, რათა თავიდან იქნას აცილებული სერვისის დაკარგვა კაბელის გაწყვეტის შემთხვევაში. რაც შეეხება IP ქსელს, ის დაფუძნებული იქნება IP core მარშრუტიზატორებზე (ზოგადად, DWDM კვანძებთან ერთად) და აგრეგაციის მარშრუტიზატორებზე, რომლებიც დაკავშირებული იქნება სხვადასხვა ძირითად მარშრუტიზატორებთან. მთლიანობაში მოსალოდნელია დაახლოებით 50 აგრეგაციის კვანძი, სადაც დამონტაჟდება IP/MPLS და DWDM (სადაც საჭიროა) აღჭურვილობა.

ქსელი აშენდება პრომოუტერისა და ქსელის დიზაინის კონსულტანტის მიერ შემუშავებული მაღალი დონის დიზაინის საფუძველზე.

პასიური და აქტიური კომპონენტების გარდა, პროექტის ფარგლებში ასევე შედის იუფენ ნეტის ტექნიკური და კომერციული ოპერაციების საჭირო დამხმარე სისტემები.

#### კალენდარი

პროექტის განხორციელება დაგეგმილია 2021-2025 კალენდარული წლების განმავლობაში.

ა.2 ინფორმაცია პროექტის შესახებ, რომელიც უნდა მიეწოდოს ბანკს და გადაცემის მეთოდი

1. ინფორმაციის გაგზავნა: პასუხისმგებელი პირის დანიშვნა  
 ქვემოთ მოცემული ინფორმაცია მიწოდებული უნდა იქნეს ბანკისთვის შემდეგის  
 პასუხისმგებლობის ქვეშ:

	ფინანსური კონტაქტი	ტექნიკური კონტაქტი
კომპანია	ააიპ ოუფენ ნეტი	ააიპ ოუფენ ნეტი
საკონტაქტო პირი	მარიამ სულაბერიძე	ალექსანდრე წერეთელი
თანამდებობა	დირექტორი	Log-In Georgia პროექტის მენეჯერი
ფუნქცია/ფინანსური ან ტექნიკური დეპარტამენტი	დირექტორი	მენეჯერი
მისამართი	ჯანო ბაგრატიონის ქუჩა 6, მეშვიდე სართული, 0160 თბილისი, საქართველო	ჯანო ბაგრატიონის ქუჩა 6, მეშვიდე სართული, 0160 თბილისი, საქართველო
ტელეფონი	+995 599 545048	+995 591 015757
ფაქსი	-	-
ელ.ფოსტა	msulaberidze@opennet.ge	atsereteli@opennet.ge

ზემოაღნიშნული საკონტაქტო პირი(ები) არის (არიან) საკონტაქტი პასუხისმგებელი პირი(ები) მოცემული დროისთვის. მსესხებელი დაუყოვნებლივ შეატყობინებს ბანკს ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

2. ინფორმაცია პროექტის განხორციელების შესახებ

მსესხებელი ვალდებულია ან უზრუნველყოფს, რომ პრომოუტერი ბანკს მიაწვდის შემდეგ ინფორმაციას პროექტის მიმდინარეობის შესახებ განხორციელების პროცესში არაუგვიანეს ქვემოთ მითითებულ ვადაში

დოკუმენტი/ინფორმაცია	ბოლო ვადა	ანგარიშის წარდგენის პერიოდულობა
<p>პროექტის განხორციელების ანგარიში (PPR):</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მოკლე განახლება ტექნიკური აღწერილობისა და მაღალი დონის დიზაინის შესახებ (მოეწოდება ბანკს 1.4.8 (i) პუნქტის შესაბამისად), რომელიც ხსნის მნიშვნელოვანი ცვლილებების მიზეზებს თავდაპირველ ფარგლებთან მიმართებით;</li> <li>- მაღალი დონის დიზაინში მითითებული პროექტის თითოეული ძირითადი კომპონენტის განხორციელების პროგრესისა და მათი დასრულების მოსალოდნელი თარიღის განახლება, შესაძლო დაგვიანების მიზეზების ახსნა;</li> <li>- განახლებები პროექტის ღირებულების შესახებ, ღირებულების შესაძლო ვარიაციების მიზეზების ახსნით თავდაპირველ ბიუჯეტთან შედარებით;</li> <li>- ნებისმიერი ძირითადი საკითხის აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს გარემოზე და/ან სოციალურ ზემოქმედებაზე;</li> <li>- შესყიდვების გეგმის განახლება;</li> <li>- განახლებები პროექტის მოთხოვნის ან გამოყენების შესახებ (დეტალები ოპერატორებთან გაფორმებული საბითუმო ხელშეკრულებების შესახებ, გაყიდვების მოცულობა და ა.შ.) და კომენტარები;</li> <li>- ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც წარმოიშვა და ნებისმიერი მნიშვნელოვანი რისკი, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს პროექტის მუშაობაზე;</li> <li>- პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი სამართლებრივი ქმედება, რომელიც შესაძლოა მიმდინარეობდეს;</li> <li>- განახლებები მონიტორინგის ინდიკატორების შესახებ, რომლებიც ჩამოთვლილია მე-5 ნაწილში ქვემოთ;</li> <li>- პროექტთან დაკავშირებული არაკონფიდენციალური სურათები, თუ ეს შესაძლებელია.</li> </ul>	<p>ყოველი წლის 30 აპრილი, წინა კალენდარული წლის PPR-თვის</p>	<p>წლიურად (2022, 2023, 2024 და 2025-ში)</p>

3. ინფორმაცია სამუშაოების დასრულებისა და ექსპლუატაციის პირველი წლის შესახებ

მსესხებელი ვალდებულია ან უზრუნველყოფს, რომ პრომოუტერი ბანკს მიაწვდის შემდეგ ინფორმაციას პროექტის მიმდინარეობის შესახებ განხორციელების პროცესში არაუგვიანეს ქვემოთ მითითებულ ვადაში

დოკუმენტი / ინფორმაცია	ბანკის მიღების თარიღი
<p>პროექტის დასრულების ანგარიში, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- დასრულებული პროექტის საბოლოო ტექნიკური აღწერა და მაღალი დონის დიზაინი, რომელიც ხსნის რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილების მიზეზებს ა.1-ის ტექნიკურ აღწერასთან შედარებით, ბანკისთვის მიწოდებული მაღალი დონის დიზაინის ჩათვლით 1.4.ბ (i) მიხედვით;</li> <li>- მაღალი დონის დიზაინში მითითებული პროექტის თითოეული ძირითადი კომპონენტის დასრულების თარიღი, შესაძლო დაგვიანების მიზეზების ახსნით;</li> <li>- პროექტის საბოლოო ღირებულება, რომელიც ხსნის ღირებულების შესაძლო ვარიაციების მიზეზებს საწყის ბიუჯეტთან შედარებით;</li> <li>- პროექტის დასაქმების ეფექტები: განხორციელების დროს საჭირო სავარაუდო დღეები და მუდმივი ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;</li> <li>- გარემოზე ზემოქმედების ან სოციალური ზემოქმედების ნებისმიერი ძირითადი საკითხის აღწერა და პროექტის წყალობით გარემოსდაცვითი და სოციალური დადებითი ზემოქმედების ზოგადი ახსნა;</li> <li>- შესყიდვის პროცედურების განახლება და შესყიდვების გეგმიდან გადახრების ახსნა;</li> <li>- განახლებები პროექტის მოთხოვნის ან გამოყენების შესახებ და კომენტარები;</li> <li>- ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც წარმოიშვა და ნებისმიერი მნიშვნელოვანი რისკი, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს პროექტის მუშაობაზე;</li> <li>- ნებისმიერი სამართლებრივი ემედება პროექტთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა მიმდინარეობდეს;</li> <li>- განახლება მონიტორინგის ინდიკატორების შესახებ, რომლებიც ჩამოთვლილია მე-5 ნაწილში ქვემოთ;</li> <li>- პროექტთან დაკავშირებული არაკონფიდენციალური სურათები, თუ ეს შესაძლებელია.</li> </ul>	<p>30-4-2026</p>

აღნიშნული პროექტის დაფინანსება სარგებელს იღებს ევროკავშირის გარანტიებისაგან ბანკისთვის ევროპარლამენტისა და საბჭოს #466/2014/EU გადაწყვეტილების ფარგლებში. აღნიშნული გადაწყვეტილების მუხლ 9 (2)-ის შესაბამისად, ბანკმა „უნდა მოთხოვოს პროექტის პრომოუტერებს განხორციელონ სრული მონიტორინგი პროექტის განხორციელების განმავლობაში დასრულებამდე, მათ შორის საინვესტიციო პროექტის ეკონომიკური, განვითარების, სოციალური, გარემოსდაცვითი და ადამიანის უფლებებზე გავლენა. EIB-მ უნდა დაადასტუროს ის ინფორმაცია, რაც წარდგენილი იქნა პროექტის პრომოუტერების მიერ და გახადოს ის საჯარო თუ პროექტის პრომოუტერი თანახმაა. სადაც შესაძლებელია პროექტის დასრულების ანგარიშები, რაც დაკავშირებულია EIB-ის დაფინანსების ოპერაციებთან უნდა გამოქვეყნდეს კონფიდენციალური ინფორმაციის გამოკლებით“.

შესაბამისად და ბანკის ვალდებულებების შელახვის გარეშე უნდა გახდეს საჯარო პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი ინფორმაცია Aarhus-ს კონვენციის ფარგლებში, ბანკმა უნდა გახადოს საჯარო მსესხებლის მიერ მოწოდებული ყველა ინფორმაცია პროექტის მიმდინარეობის ანგარიშებსა და პროექტის დასრულების

ანგარიშებში, იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი ინფორმაცია მსესხებლის მიერ არის მითითებით „EIB-ის ელექტრონულ გვერდზე გამოსაქვეყნებლად“.

ასევე, მსესხებელმა შეიძლება გადაწყვიტოს ამგვარი ინფორმაციის გამოქვეყნება მის საკუთარ ელექტრონულ ვებ-გვერდზე და წარუდგინოს EIB-ის შესაბამისი ელექტრონული ბმული, რაც გამოიყენება EIB-ის პუბლიკაციისათვის.

EIB-მ არ უნდა აიღოს რაიმე პასუხისმგებლობა იმ ინფორმაციის შინაარსზე, რაც განთავსებულია საჯაროდ ელექტრონულ ვებ-გვერდზე. დოკუმენტები, რომლებიც მარკირებულია, როგორც „EIB-ის ელექტრონულ გვერდზე გამოსაქვეყნებლად“ გამოქვეყნდება იმ ფორმითვე, რა ფორმითაც მიიღებს მას EIB და არ დაემატება რამე EIB-ის მხრიდან. მხოლოდ ელექტრონული ბმულის ფუნქციონირებისთვის შესაბამის პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოქვეყნდება EIB-ის მიერ.

4. საჭირო ინფორმაცია პროექტის დასრულების ანგარიშიდან 3 წლის შემდეგ

მსესხებელმა ბანკს უნდა გადასცეს შემდეგი ინფორმაცია პროექტის დასრულების ანგარიშიდან 3 წლის შემდეგ, არაუგვიანეს ქვემოთ მითითებული ვადისა.

დოკუმენტი / ინფორმაცია	ბანკისთვის მიწოდების თარიღი
განახლება მონიტორინგის ინდიკატორების შესახებ, რომლებიც ჩამოთვლილია ქვემოთ 5 განყოფილებაში.	30-4-2029

ანგარიშების ენა	ინგლისური
-----------------	-----------

5. მონიტორინგის ინდიკატორები

მსოფლიო ბანკის მაჩვენებლებთან შესაბამისობაში (საბაზისო მაჩვენებელი ეხება eoy 2020 და საბოლოო მიზანი eoy 2025):

პროექტის განვითარების მიზნების ინდიკატორები:

ინდიკატორის სახელი                      PBC                      საბაზისო მაჩვენებელი                      საბოლოო მიზანი

ფართოზოლოვან ინტერნეტთან გაფართოება	წვდომის		
ხალხის რაოდენობა რომლებსაც მიეწოდათ ფართოზოლოვანი ინტერნეტი (რაოდენობა ათასებში)		0.00	400.00
ფართოზოლოვან ინტერნეტთან ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება			
ფართოზოლოვანი ერთეულის ფასის შემცირება დაკავშირებულ დასახლებებში (პროცენტული მაჩვენებელი)	ქსელის სიღრმის	0.00	50.00

ფართობოლოვანი ციფრული სერვისების ხელშეწყობა	გამოყენების		
დაკავშირებულ სოფლად დასახლებულ პირთა წილი ინტერნეტის გამოყენებით კონკრეტული მიზნებისათვის		24.00	50.00
მდებარებითი სექსის წილი დაკავშირებულ სოფლის დასახლებებში ინტერნეტის გამოყენებით კონკრეტული მიზნებისათვის		36.00	70.00
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წილი დაკავშირებულ სოფლის დასახლებებში ინტერნეტის გამოყენებით კონკრეტული მიზნებისათვის		0.00	10.00

ინდიკატორის სახელი	PBC	საბაზისო მაჩვენებელი	საბოლოო მიზანი
საწარმოთა წილი დაკავშირებული სოფლის დასახლებებში, ინტერნეტის გამოყენებით, კონკრეტული მიზნებისათვის		15.00	30.00
ქალთა საკუთრებაში მყოფი საწარმოების წილი დაკავშირებულ სოფლის დასახლებებში ინტერნეტის გამოყენებით კონკრეტული მიზნებისათვის (პროცენტული მაჩვენებელი)		10.00	20.00

შუალედური შედეგების ინდიკატორები კომპონენტების მიხედვით

ინდიკატორის სახელი	PBC	საბაზისო მაჩვენებელი	საბოლოო მიზანი
ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდა			
განლაგებული ბოჭკოვანი ქსელის კაბელის სიგრძე (მარშრუტი-კმ) (კილომეტრი)		0.00	5,000.00
დაინსტალირებული სატელეკომუნიკაციო მოწყობილობების წილი, რომელიც დამოწმებულია, როგორც ენერგოეფექტური (პროცენტი)		0.00	90.00
ხალხი, რომლებიც უზრუნველყოფილია ინტერნეტის		0.00	300,000.00

ხელმისაწვდომობით (CRI, ნომერი)			
იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც ისარგებლა ახალი სერვისით ინტერნეტით. (CRI, ნომერი)		0.00	200,000.00
ადამიანების რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს გაუმჯობესებული ინტერნეტ სერვისით. (CRI, ნომერი)		0.00	100,000.00

განრიგი ბ

შესაბამისი ბანკთაშორისი განაკვეთების განმარტებები

I. EURIBOR-ის განსაზღვრება

EURIBOR" ნიშნავს:

- (ა) ერთ თვეზე ნაკლები პერიოდისთვის ევროში არსებული დეპოზიტების ერთთვიან საპროცენტო განაკვეთს (როგორც განმარტებულია ქვემოთ);
- (ბ) ერთი ან მეტი თვის შესაბამისი პერიოდის მიმართ, რომლისთვისაც ხელმისაწვდომია საპროცენტო განაკვეთი, მოქმედი საპროცენტო განაკვეთი თვეების შესაბამისი რაოდენობის ვადით;
- (გ) ერთ თვეზე მეტი პერიოდისთვის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მიიღება ევროში არსებული დეპოზიტების ორი საპროცენტო განაკვეთის ხაზობრივი ინტერპოლაციის გზით, რომელთაგან შესაბამისი პერიოდთან მიმართებით ერთი შეესაბამება სრული თვეების პერიოდიდან უახლოეს მომდევნოს და მეორე შეესაბამება სრული თვეების პერიოდიდან ბოლოს წინას,

(პერიოდი, რომლისთვისაც აიღება განაკვეთი ან რომლისგანაც ხდება განაკვეთების ინტერპოლაცია, არის „წარმომადგენლობითი პერიოდი“).

(ა) - (გ) პუნქტების მიზნებისთვის:

(i) „ხელმისაწვდომი“ ნიშნავს განაკვეთებს, შესაბამისი დაფარვის ვადისთვის, რომელიც გამოთვლილია და გამოქვეყნებულია შპს. Global Rate Set Systems-ის (GRSS) მიერ, ან სხვა ასეთი სერვისის მომწოდებლის მიერ, რომელიც შერჩეულია ევროპის ფულის ბაზრის ინსტიტუტის (EMMI) მიერ, ან ბანკის მიერ განსაზღვრული ნებისმიერი უფლებამონაცვლე; და

(ii) „ევრანზე მოცემული განაკვეთი“ ნიშნავს ევროებში დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთის ოდენობას შესაბამისი პერიოდისათვის, რომელიც გამოქვეყნებულია ბრიუსელის დროით 11:00 საათზე ან ბანკისათვის მისაღებ გვიან დროს, („დადგენის თარიღი“) იმ დღეს, რომელიც წინ უსწრებს შესაბამისი პერიოდის პირველ დღეს 2 (ორი) სამუშაო დღით, რიოტერის გვერდზე EURIBOR 01 ან მის მომდევნო გვერდზე, ან, მათი არარსებობის შემთხვევაში, ბანკის მიერ ამ მიზნისთვის არჩეულ პუბლიკაციის სხვა საშუალებებზეში.

თუ ევრანზე მოცემული განაკვეთი ამგვარად არ გამოქვეყნდა, ბანკს შეუძლია მიმართოს მის მიერ შერჩეულ ოთხი ძირითადი ბანკის ევრო-ზონის ძირითად ოფისებს, რათა

მოახდინონ განაკვეთის კვოტირება, რომელსაც თითოეული ბანკი შესთავაზებს ბანკებს ევროზონის ბანკთაშორის ბაზარზე დეპოზიტებისათვის ევროში იგივე თანხისთვის, დაახლოებით ბრიუსელის დროით 11:00 საათზე დადგენის თარიღში და იმ პერიოდისთვის, რომელიც შეესაბამება წარმომადგენლობით პერიოდს. იმ შემთხვევაში, თუ სულ მცირე ორი კვოტირება მოხდება, დადგენის თარიღში განაკვეთი იქნება კვოტირების საშუალო არითმეტიკული.

კვოტირების არ არსებობის შემთხვევაში, დადგენის თარიღში განაკვეთი იქნება ევროზონის ძირითადი ბანკების კვოტირებული განაკვეთების საშუალო არითმეტიკული, რომელსაც ბანკი აირჩევს იმ დღეს, დაახლოებით ბრიუსელის დროით 11:00 საათზე, რომელიც დადგენის თარიღის შემდეგ ორი სამუშაო დღის შემდეგ დადგება, წარმომადგენლობითი პერიოდის ტოლი წამყვანი ევროპული ბანკებისათვის ევროში ნომინირებული სესხებისათვის. ბანკი დაუყოვნებლად აცნობებს მსესხებელს ბანკის მიერ მიღებული კვოტების შესახებ.

საჭიროებისამებრ, ამ განრიგში მოცემული გაანგარიშებიდან გამომდინარე ყველა პროცენტი დამრგვალდება უახლოეს მეთასედამდე.

თუ ზემოაღნიშნული რომელიმე დებულება შეუთავსებადი იქნება EMMI-ის ხელმძღვანელობით EURIBOR-თან მიმართებაში დამტკიცებულ დებულებებთან (ან ბანკის მიერ განსაზღვრული EMMI-ის ფუნქციის უფლებამონაცვლე), ბანკს შეუძლია მსესხებლისათვის შეტყობინებით შეცვალოს დებულებები ამგვარ სხვა დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

თუ ევროზე მოცემული განაკვეთი მუდმივად იქნება მიუწვდომელი, EURIBOR (ნებისმიერი სპრედით ან ცვლილების ჩათვლით) იქნება ოფიციალურად რეკომენდებული (i) ევროპის ცენტრალური ბანკის (ECB) ევროს ურისკო საპროცენტო განაკვეთზე სამუშაო ჯგუფის მიერ, ფინანსური მომსახურებისა და ბაზრის ზედამხედველობის ორგანოს (FSMA), ფასიანი ქაღალდებისა და ბაზრების მარეგულირებელი ორგანოს (ESMA) და ევროკომისიის მიერ, ან (ii) ევროპული ფულის ბაზრის ინსტიტუტის, როგორც EURIBOR-ის ადმინისტრატორი, ან (iii) 2016/1011 რეგულაციით (EU), რომელიც პასუხისმგებელია ევროპული ფულის ბაზრის ინსტიტუტის ზედამხედველობაზე, როგორც EURIBOR-ის ადმინისტრატორი, ან (iv) ეროვნული კომპეტენტური ორგანოების მიერ, რომლებიც განსაზღვრულია რეგულაციით (EU) 2016/1011, ან (iv) ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ.

თუ ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ევროზე მოცემული განაკვეთი ან/და EURIBOR არ იქნება ხელმისაწვდომი, EURIBOR იქნება (წლიურად, გამოსახული პროცენტებში) განაკვეთი, რომელიც განსაზღვრული იქნება ბანკის მიერ და მოიცავს შესაბამისი ტრანშის დაფინანსებისათვის ბანკის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს, რომელიც ეფუძნება ბანკის შიდა შესაბამის განაკვეთს ან ალტერნატიულ განაკვეთს, რომელიც ბანკის მიერ იქნება განსაზღვრული გონივრულობის ფარგლებში.

## II. LIBOR-ის განმარტება

### ა. LIBOR USD

"LIBOR" ნიშნავს აშშ დოლართან მიმართებაში ნებისმიერი შესაბამისი პერიოდისათვის, პროცენტის ჩანაწერების თარიღამდე (რომელზეც ქვემოთ ბ ნაწილი გამოიყენება):

(ა) ერთ თვეზე ნაკლებ ხანგრძლივობის შესაბამისი პერიოდისთვის საპროცენტო განაკვეთი ერთი თვის ვადით;

- (ბ) ერთთვიანი ან უფრო მეტი თვეების შესაბამისი პერიოდისთვის, რომლისთვისაც აშშ დოლარში არსებული დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი არის ხელმისაწვდომი, გამოსაყენებელი აშშ დოლარში არსებული საპროცენტო განაკვეთის ვადით, რომელიც შეესაბამება თვეების რაოდენობას; და
- (გ) ერთ თვეზე მეტი პერიოდისთვის, აშშ დოლარში არსებული დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი რომელიც არ არის ხელმისაწვდომი, კურსი მიიღება აშშ არსებული დეპოზიტების ორი საპროცენტო განაკვეთის ხაზობრივი ინტერპოლაციის გზით, რომელთაგან ერთი გამოიყენება შესაბამისი პერიოდის ხანგრძლივობასთან შედარებით უფრო მოკლე მომდევნო პერიოდისა და სხვა უფრო გრძელი პერიოდისთვის,

(პერიოდი რომლისთვისაც აიღება განაკვეთი ან რომლისგანაც ხდება განაკვეთების ინტერპოლაცია არის “წარმომადგენლობითი პერიოდი”).

ზემოთ მოცემული (ბ) და (გ) პუნქტის მიზნებისთვის:

- (i) „ხელმისაწვდომი“ ნიშნავს „გამოთვლილს და გამოქვეყნებულს“ “ICE Benchmark Administration Limited“-ის ეგიდის ფარგლებში (ან “ICE Benchmark Administration Limited“-ის ნებისმიერი მემკვიდრის არსებული ფუნქციებით, როგორც ეს განსაზღვრულია ბანკის მიერ) მოცემული განაღების პერიოდებით; და
- (ii) „Screen Rate“ ნიშნავს აშშ დოლარში არსებული დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთს შესაბამისი პერიოდისათვის, როგორც ეს დადგენილია “ICE Benchmark Administration Limited“-ის მიერ (ან “ICE Benchmark Administration Limited“-ის ნებისმიერი მემკვიდრე, როგორც ეს განსაზღვრულია ბანკის მიერ) და გავრცელებულია ფინანსური ახალი ამბების გამავრცელებლების მიერ ლონდონის დროით 11 საათზე ან ბანკისათვის მისაღებ გვიან დროს, (“დადგენის თარიღი”) იმ დღეს, რომელიც დგება 2(ორი) ლონდონის ბიზნესს დღეზე უფრო ადრე ვიდრე შესაბამისი პერიოდის პირველი დღე.

თუ უფრო ადრე: (i) შესაბამისი პროცენტის ჩანაცვლების თარიღამდე და (ii) რაიმე შესაბამისი საპროცენტო განაკვეთის შეწყვეტის მოვლენამდე, ასეთი საპროცენტო განაკვეთი არ არის ამგვარად გამოქვეყნებული ბანკისთვის მისაღები ფინანსური ახალი ამბების პროვაიდერის მიერ, ბანკმა უნდა მოსთხოვოს ლონდონის 4 (ოთხი) ძირითადი ბანკის ძირითად ოფისებს ლონდონის ბანკთაშორის ბაზარზე, რომელიც არჩეულია ბანკის მიერ, დაასახელონ კურსი, რომლითაც სთავაზობენ თითოეულ მათგანს აშშ დოლარის დეპოზიტების შესადარ თანხას დაახლოებით 11:00 საათზე, ლონდონის დროით, გადატვირთვის თარიღში, ლონდონის ბანკთაშორის ბაზარზე პრაიმ ბანკებს კი წარმომადგენლობითი პერიოდის ტოლი პერიოდის განმავლობაში. თუ მინიმუმ 2 (ორი) ასეთი კურსის დასახელებაა მოწოდებული, კურსი იქნება მოწოდებული კურსის დასახელებების საშუალო არითმეტიკული. თუ არ არის მოწოდებული კურსის საკმარისი დასახელებები მოთხოვნის შესაბამისად, ბანკმა უნდა მოსთხოვოს ნიუ-იორკში არსებული 4 (ოთხი) ძირითადი ბანკის ბანკთაშორის ბაზრის ძირითადი ოფისებს, რომლებიც შერჩეულია ბანკის მიერ, დაასახელონ კურსი, რომლითაც აშშ დოლარის დეპოზიტების შესადარ თანხას სთავაზობენ თითოეული მათგანს ნიუ-იორკის დროით დაახლოებით დილის 11:00 საათზე, იმ დღეს, რომელიც მოდის გადატვირთვის თარიღიდან 2 (ორი) ნიუ-იორკის სამუშაო დღის შემდეგ, ევროპულ ბაზარზე პრაიმ ბანკებს წარმომადგენლობითი პერიოდის ტოლი პერიოდის განმავლობაში. თუ მინიმუმ 2 (ორი) ასეთი კურსის დასახელებაა მოწოდებული, მაჩვენებელი იქნება მოწოდებული კურსის დასახელებების საშუალო არითმეტიკული. ბანკი დაუყოვნებლივ აცნობებს მსესხებელს ბანკის მიერ მიღებული შეთავაზებების შესახებ.

თუ ზემოთ მოყვანილი კურსი არ არის ხელმისაწვდომი, ან თუ ასეთი საპროცენტო განაკვეთი არ არის გამოქვეყნებული ბანკისთვის მისაღები ფინანსური ახალი ამბების პროვაიდერის მიერ და ზემოთ მოცემული პუნქტი არ გამოიყენება, LIBOR იქნება სახსრების ღირებულების განაკვეთი.

„ლონდონის სამუშაო დღე“ ნიშნავს დღეს, როდესაც ბანკები ღიაა ნორმალური მუშაობისთვის ლონდონში და „ნიუ-იორკის სამუშაო დღე“ ნიშნავს დღეს, როდესაც როცა ბანკები ღიაა ნორმალური მუშაობისთვის ნიუ-იორკში.

ამ ნაწილში ა-ში მითითებული ნებისმიერი გამოთვლების შედეგად მიღებული ყველა პროცენტი დამრგვალდება, საჭიროების შემთხვევაში, პროცენტული პუნქტის ასი-ათასიან საპროცენტო ნიშნულის სიზუსტით, ნახევრებით დამრგვალებული ზემოთ.

თუ რაიმე შესაბამისი ბანკთაშორისი განაკვეთის ჩანაცვლების ღონისძიებამდე რომელიმე ზემოთ მოცემული დებულება შეუსაბამო გახდება, ICE Benchmark Administration Limited-ის (ან ბანკის მიერ განსაზღვრული ICE Benchmark Administration Limited- ის ამ ფუნქციის მემკვიდრე) დებულებებთან, LIBOR-თან მიმართებაში, ბანკს შეუძლია მსესხებლისათვის შეტყობინებით შეიტანოს ცვლილება ამ დებულებაში, რათა იგი შესაბამისობაში იყოს სხვა დებულებებთან. ეს ქვეპუნქტი არ ვრცელდება ბ ნაწილზე (შესაბამისი ბანკთაშორისი განაკვეთი შესაბამისი ბანკოტის განაკვეთის ჩანაცვლების თარიღის შემდეგ).

## ბ. შესაბამისი განაკვეთი

(ა) შესაბამისი ბანკთაშორის განაკვეთთან დაკავშირებით, ბანკს (არ მოეთხოვება) შეუძლია წერილობით აცნობოს მსესხებელს, სხვა საკითხებთან ერთად და როგორც შეიძლება განსაზღვროს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ან ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მიმართ, ჩანაცვლების ბენჩმარკი, რეგულირების სპრედი ნებისმიერი შესაბამისი ცვლადი განაკვეთის ტრანშების მიმართ, საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების თარიღი და შესაბამისი ცვლილებები, როგორც ეს განსაზღვრულია ქვემოთ გ ნაწილში ("საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების შესახებ შეტყობინება").

(ბ) მსესხებელმა ბანკს უნდა უპასუხოს წერილობით არაუგვიანეს ლუქსემბურგის დროით 12:00 საათისა, საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში (ასეთი პერიოდი, საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების შეტყობინების დღიდან ამ პერიოდამდე არის "მიღების პერიოდი") მითითებით, რომ იღებს ან უარყოფს საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების შეტყობინების პირობებს (ან ნებისმიერი განახლებული საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების შესახებ შეტყობინებას, რომელიც შეთანხმებულია ბანკსა და მსესხებელს შორის „მიღების პერიოდში“ (რადგან იგივე შეიძლება გაგრძელდეს ბანკისა და მსესხებლის შეთანხმებით), სადაც თანხმობა გამოხატული იქნება უფლებამოსილი პირების ხელმოწერებით შესაბამისი საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების შეტყობინებაზე და იქნება შეუქცევადი. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი სხვა ვადის მიუხედავად (მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი დებულება, რომელიც მოითხოვს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას წერილობით), თუ მსესხებელი ვერ უპასუხებს წერილობით მიღების პერიოდის განმავლობაში, ითვლება, რომ მსესხებელმა მიიღო საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების შეტყობინება.

(გ) თუ მსესხებელი მიიღებს ან მიიჩნევს, რომ მან მიიღო (ზემოთ (ბ) პუნქტის შესაბამისად) საპროცენტო ჩანაცვლების ცნობა, საპროცენტო ჩანაცვლების შესაბამისი თარიღ (ებ) დან, რომელიც მითითებულია ამ საპროცენტო ჩანაცვლების ცნობაში, დებულებები, საპროცენტო ჩანაცვლების ცნობა შეცვლის წინამდებარე ხელშეკრულებისა და შესაბამისი ჩამორიცხვის დოკუმენტის შესაბამისი დებულებებს პროცენტის ჩანაცვლების განაცხადის პირობების შესაბამისად.

(დ) თუ მიღების პერიოდში მსესხებელი წერილობით აცნობებს ბანკს, რომ იგი უარყოფს საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების შესახებ შეტყობინებას, და მიღების პერიოდის განმავლობაში ბანკსა და მსესხებელს შორის არ მოხდება შეთანხმება საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების შესახებ შეტყობინებაზე (რადგან იგივე შეიძლება გაგრძელდეს ბანკსა და მსესხებელს შორის შეთანხმებით), თანხების განაკვეთის საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების თარიღიდან, მომდევნო შესაბამისი გადახდის თარიღამდე ან ბანკის მიერ დადგენილ სხვა თარიღამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსესხებელი:

(i) საპროცენტო ჩანაცვლების განაცხადში მითითებული შესაბამისი კურსის ვალუტაში ან ვალუტებში (საჭიროების შემთხვევაში) ყველა თანხის გადახდა შეჩერდება, სანამ ბანკი და მსესხებელი არ შეთანხმდებიან საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების შესახებ შეტყობინების პირობების შესაბამისად.

- (ii) საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების შესახებ შეტყობინებაში მითითებულ შესაბამისი საპროცენტო განაკვეთის თითოეულ ცვლად საპროცენტო განაკვეთის ტრანშის ვალუტაში ან ვალუტებში (როგორც მისაღებია), სახსრების კურსის ღირებულება უნდა ჩანაცვლოს საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების შესახებ შეტყობინებაში მითითებულმა შესაბამისმა კურსმა და საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების შესახებ შეტყობინებაში მითითებული პროცენტის ჩანაცვლების თარიღიდან (თანხის ღირებულების განაკვეთის შეცვლის შემდეგ გადახდის ყოველი მომდევნო თარიღი); და
- (iii) თუ მსესხებელი ბანკს წარუდგენს უარყოფას, როგორც ზემოხსენებული წერილობითი შეტყობინების ნაწილს, თხოვნა ასეთი ცვლადი ტრანშის (ტრანშის) ფიქსირებული ტრანშ (ებ) ით გადაკეთების შესახებ, ზემოთ (დ) (ii) პუნქტში მითითებული სახსრების ღირებულების განაკვეთი, ერთხელ ხელმისაწვდომი, გამოყენებული იქნება, სანამ:

- (1) ბანკი და მსესხებელი ახორციელებენ ცვლილებებს ამ ხელშეკრულებაში და შესაბამის ჩამორიცხვის დოკუმენტში, რომელიც ბანკმა მოითხოვა, ასეთი ცვლადი ტრანშის (ები) ფიქსირებული ტრანშ (ებ) ად გადასაყვანად (და ნებისმიერი სხვა შესწორების შეტანაში სხვა ფიქსირებული ტრანშის); და
- (2) ბანკი და მსესხებელი თანხმდებიან (წერილობითი შეტყობინების გზით) ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე და თარიღზე, საიდანაც ფიქსირებული განაკვეთი გამოიყენება ასეთი ცვლადი ტრანშის (ტრანშის) მიმართ ("ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შესახებ შეტყობინება").

(ე) თუ საპროცენტო ჩანაცვლების შესახებ შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, ბანკი თავისი შეხედულებისამებრ და კეთილსინდისიერად დაადგენს, რომ საჭიროა კიდევ უფრო მეტი ცვლილების შეტანა, ბანკს შეუძლია შეატყობინოს მსესხებელს ამგვარი შემდგომი შესაბამისი ცვლილებების მითითებით ("შემდგომი შეტყობინება"), რომელიც შეცვლის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამის დებულებებს და შესაბამის ჩამორიცხვის დოკუმენტს ამგვარი შემდგომი შეტყობინების პირობების შესაბამისად და რაც სავალდებულოა წინამდებარე ხელშეკრულების ყველა მხარისათვის, შემდგომი შეტყობინების მსესხებლის მიერ მიღებისთანავე.

(ვ) ამ ხელშეკრულების ნებისმიერი სხვა ვადის მიუხედავად (მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი დებულებით, რომელიც არეგულირებს შეტყობინებების ან ხელშეკრულების სხვა შეტყობინებების გაცემას), ნებისმიერი ცნობა ან სხვა კომუნიკაცია, რომელიც შეიძლება გაკეთდეს ბანკის ან მსესხებლის მიერ ამ განრიგის ბ-ის მიმართ უნდა იყოს წერილობითი ფორმით და მისი გაკეთება შესაძლებელია ელექტრონული ფოსტით. ასეთი შეტყობინებები და კომუნიკაციები:

- (i) მიღებულად ითვლება მეორე მხარის მიერ ნებისმიერი ელექტრონული ფოსტის შემთხვევაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც ის რეალურად კითხვადი ფორმით არის მიღებული და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიმართულია ისე, რომ ამას მეორე მხარე განსაზღვრავს ამ მიზნით;
- (ii) იყოს ბანკის მიერ მოთხოვნილი ფორმით; და
- (iii) ბანკის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, თან უნდა ახლდეს დამაკმაყოფილებელი მტკიცებულებები მსესხებლის სახელით ასეთი შეტყობინების გაგზავნის უფლებამოსილი პირის ან პირების უფლებამოსილების შესახებ და ამ პირის ან პირების ხელმოწერის დამოწმებული ნიმუში.

მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი ზემოთჩამოთვლილი კომუნიკაცია (მათ შორის, ელექტრონული ფოსტის საშუალებით) წარმოადგენს კომუნიკაციის მიღებულ ფორმას და წარმოადგენს დასაშვებ მტკიცებულებას სასამართლოში.

#### გ. განმარტებები

ბ განრიგის მიზნებისათვის განსაზღვრულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

(ა) "კორექტირების მარჯა" ნიშნავს საპროცენტო განაკვეთის კორექტირებას, გამოხატულს პროცენტულად წლიური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ამცირებს ან გამორიცხავს ბანკის აზრით, მიზანშეწონილად მიჩნეულ, ჩანაცვლების ბენჩმარკის გამოყენების შედეგად წარმოქმნილ ნებისმიერი გადარიცხვის ეკონომიკურ ღირებულებას ერთი მხარიდან მეორეზე. თუ ნებისმიერი კორექტირება ან კორექტირების დაანგარიშების მეთოდი ოფიციალურად განისაზღვრა, დასახელებულია ან რეკომენდებულია შესაბამისი ნომინირების ორგანოს მიერ, შესაბამისი ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების შემთხვევის შემდეგ ან მასთან დაკავშირებით, ბანკს შეუძლია განსაზღვროს კორექტირება ამ მითითების შესაბამისად, ნომინაციის ან რეკომენდაციის საფუძველზე, ნებისმიერი სხვა მიღებული საბაზრო სტანდარტების ან/და საბაზრო პირობების გათვალისწინებით.

(ბ) "შესაბამისი ცვლილებები" ნიშნავს ნებისმიერი ცვლილებას, რომელიც გამოიწვეული იქნება საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების შესახებ შეტყობინებით, რომელსაც ბანკი განსაზღვრავს კეთილსინდისიერად, როგორცაა:

- (i) ამ შეთანხმების ნებისმიერი დებულებების შესაბამისობა საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების შეტყობინების პირობებთან;
- (ii) შესაძლებლობის მიცემა გამოყენებულ იქნას ჩანაცვლების ბენჩმარკი ამ შეთანხმებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისათვის (მათ შორის, შეუზღუდავად, ნებისმიერი თანმიმდევრული ცვლილებები, რომელებიც საჭიროა ჩანაცვლების ბენჩმარკის გამოყენებისთვის ამ შეთანხმების მიზნებისათვის);
- (iii) ნებისმიერი საბაზრო წესების დანაერგვა ჩანაცვლების ბენჩმარკის ან/და კორექტირების მარჯის მიზნებისათვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში (მათ შორის ნებისმიერი შესაბამისი პირობები ჩანაცვლების ბენჩმარკისთვის შესაბამისი ნებისმიერი გამოქვეყნებული განაკვეთების გამოყენებისას);
- (iv) უზრუნველყოფა ჩანაცვლების ბენჩმარკის შესაბამისი დებულებების გათვალისწინების; ან
- (v) ნებისმიერი სხვა ცვლილებები, რომელიც შეიძლება მოითხოვოს ბანკმა ჩანაცვლების ბენჩმარკის ან/და ჩანაცვლების მარჯის გამოყენებისათვის ამ შეთანხმების მიზნებისთვის, ბანკის პოზიციის გათვალისწინებით მისი სხვა ნებისმიერი აქტივების კლასების და ვალუტების და სხვა ტექნიკური, ადმინისტრაციული ან სხვა საოპერაციო ცვლილებებით, რომლებსაც ბანკი განსაზღვრავს შესაბამისად, რომელშიც უნდა აისახოს ჩანაცვლების ბენჩმარკის და/ან ჩანაცვლების მარჯის ცვლილება და დანერგვა მისი ადმინისტრირების ნებართვისთვის, რაც არსებითად შეესაბამება საბაზრო პრაქტიკას;

(გ) „თანხების განაკვეთის ღირებულება“ ნიშნავს განაკვეთს (გამოხატული როგორც წლიური საპროცენტო განაკვეთი), რომელიც ბანკმა განსაზღვრა, როგორც ბანკისთვის გათვალისწინებული შესაბამისი ტრანშის დაფინანსების ყოვლისმომცველი ღირებულება, რომელიც ეფუძნება ბანკის მიერ განსაზღვრულ საბაზისო განაკვეთს ან ალტერნატიულ განაკვეთს, რომელიც გონივრულად განსაზღვრულია ბანკის მიერ;

(დ) „ჩამორიცხვის დოკუმენტი“ ნიშნავს ჩამორიცხვაზე დასტურს ან ჩამორიცხვის შეტყობინებას, ან საპროცენტო განაკვეთის გადახედვას/კონვერსიის შემოთავაზებას,

თითოეული ეს ხელშეკრულებაშია განსაზღვრული და შეიძლება გამოყენებულ იქნას ტრანშისთვის.

(ე) "საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების თარიღი" ნიშნავს თარიღ (ებ) ს, რომელიც მითითებულია საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლების ცნობარში. ეჭვის თავიდან ასაცილებლად, საპროცენტო ჩანაცვლების შეტყობინებაში შეიძლება მითითებული იყოს ერთზე მეტი ასეთი თარიღი, სხვადასხვა ტრანშის ან ამ ხელშეკრულების დებულებების მიმართ.

(ვ) "ციტირებული მოქმედების ვადა" ნიშნავს ნებისმიერ პერიოდს, რომლის დროსაც შესაბამისი კურსი ჩვეულებრივ აისახება ინფორმაციის გვერდზე, შესაბამის გვერდზე ან ეკრანზე.

(ზ) „შესაბამისი წარმდგენი ორგანო“ - გულისხმობს ნებისმიერ ცენტრალურ ბანკს, მარეგულირებელს ან სხვა უფლებამოსილ ზედამხედველს ან მათ ჯგუფს ან ნებისმიერი სამუშაო ჯგუფს ან კომიტეტს, რომელიც დაფინანსებულია ან მართულია, ან შედგება მოთხოვნისამებრ, ნებისმიერის მიერ, რომელიც შესაბამისია შესაბამისი ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთისთვის.

(თ) "შესაბამისი კურსი" ნიშნავს LIBOR- ს აშშ დოლართან მიმართებაში.

(ი) „შესაბამისი განაკვეთის შეჩერების შემთხვევა“ ნიშნავს ნებისმიერ შესაბამის მაჩვენებელს, შემდეგი რომელიმე მოვლენის შემთხვევას:

(i) თარიღი, როდესაც შესაბამისი განაკვეთი შეწყვეტს გამოქვეყნებას ან სხვაგვარად შეუძლებელი ხდება; და

(ii) თარიღი, როდესაც შესაბამისი ეკრანული განაკვეთი შესაბამისი ციტირებული მოქმედების ვადისთვის შეწყვეტს გამოქვეყნებას ან სხვაგვარად შეუძლებელი ხდება; და

(iv) თარიღი, როდესაც შესაბამისი ეკრანული მაჩვენებელი შესაბამისი ციტირებული მოქმედების ვადისთვის წყვეტს ძირითადი ბაზრის წარმომადგენლობას და იმ ეკონომიკურ რეალობას, რომლის გაზომვასაც აპირებს (როგორც ამას განსაზღვრავს ამგვარი განაკვეთის ადმინისტრატორის ხელმძღვანელი).

(კ) „ჩანაცვლების ბენჩმარკი“ - გულისხმობს ბანკის მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ, კომერციულად გონივრულად განსაზღვრულ განაკვეთს, რაც ანაცვლებს შესაბამის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთს. ბანკმა შეიძლება, თუმცა არ იქნება ვალდებული, შეინარჩუნოს ოფიციალურად განსაზღვრული, ნომინირებული ან რეკომენდებული საპროცენტო განაკვეთი შესაბამისი ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის ჩასანაცვლებლად, განსაზღვრული:

(i) შესაბამისი ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის ადმინისტრატორის მიერ; ან

(ii) ნებისმიერი შესაბამისი წარმდგენი ორგანოს მიერ.

## ჩამორიცხვის შეთავაზების/დასტურის ფორმა (მუხლები 1.2.ბ და 1.2.გ.)

ვის:	საქართველო
ვისგან:	ევროპის საინვესტიციო ბანკი
თარიღი:	
საკითხი:	ევროპის საინვესტიციო ბანკსა და საქართველოს შორის ფინანსური ხელშეკრულებისთვის ("ფინანსური ხელშეკრულება") დათარიღებული [] ჩამორიცხვის შეთავაზება/თანხმობა
პროექტის სახელი:	ბოჭკოვანი ქსელი საქართველოს სოფლებისთვის ხელშეკრულების ნომერი: 92.411      ოპერაციის ნომერი: 2020-0408

ბატონებო,

ჩვენ ვეყრდნობით ფინანსურ ხელშეკრულებას. ფინანსურ ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც ამ წერილში გამოყენებულ ტერმინებს.

თქვენი, ბანკიდან ჩამორიცხვის შეთავაზების მოთხოვნის თანახმად, ფინანსური ხელშეკრულების მუხლი 1.2 ბ შესაბამისად, ჩვენ გთავაზობთ, რომ თქვენთვის ხელმისაწვდომი გახდეს შემდეგი ტრანში:

- (ა) ოდენობა და ვალუტა რაც უნდა ჩამორიცხოს და მისი ეკვივალენტი EUR-ში;
- (ბ) დაგეგმილი ჩამორიცხვის დღე;
- (გ) პროცენტის განაკვეთის საფუძველი;
- (დ) პროცენტის გადახდის პერიოდულობა;
- (ე) გადახდის დღეები;
- (ვ) ძირითადი თანხის გადახდის პირობები;
- (ზ) ძირითადი თანხის პირველი და ბოლო გადახდის დღეები;
- (თ) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი ან მარჟა, რომელიც ვრცელდება გადახდის თარიღამდე.

იმისათვის, რომ ტრანში ხელმისაწვდომი გახდეს ფინანსური ხელშეკრულების შესაბამის ვადისა და პირობების შესაბამისად, ბანკმა უნდა მიიღოს ჩამორიცხვაზე თანხმობა ამ ჩამორიცხვის შეთავაზების ასლის სახით, რომელიც თქვენი სახელით სათანადოდ არის ხელმოწერილი, გამოგზავნილი შემდეგ ელ. ფოსტაზე [---] არა უგვიანეს ჩამორიცხვაზე თანხმობის ბოლო დღისა [-] ლუქსემბურგის დროის მიხედვით [თარიღი].

ქვემოთ მოცემულ ჩამორიცხვის თანხმობაზე ხელი უნდა მოაწეროს უფლებამოსილმა ხელმომწერმა და სრულად უნდა შეავსოს მითითებები, ჩამორიცხვის ანგარიში დეტალების ჩათვლით.

თუ ზემოაღნიშნულ ვადაში სათანადოდ არ იქნა დადასტურებული, ამ დოკუმენტში არსებული შეთავაზება ითვლება უარად და ავტომატურად იწურება.

თუ თქვენ დაადასტურებთ ტრანშს, როგორც აღწერილია ამ განაცხადის შეთავაზებაში, გამოყენებული იქნება ფინანსური ხელშეკრულების ყველა შესაბამისი ვადა და პირობა, კერძოდ, 1.4 მუხლის დებულებები.

პატივისცემით,

ევროპის საინვესტიციო ბანკი

ჩვენ ვიღებთ ზემოაღნიშნული ჩამორიცხვის შეთავაზებას და მსესხებლის სახელით:

თარიღი:

**მნიშვნელოვანი შეტყობინება მსესხებლისათვის:**

ხელმოწერით თქვენ ადასტურებთ, რომ ბანკისთვის წარდგენილი ავტორიზებული ხელმოწერების სია და ანგარიშები სათანადოდ იქნა განახლებული, ბანკის მიერ ზემოთ აღნიშნული ჩამორიცხვის შეთავაზების წარდგენამდე.

იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელმოწერები ან ანგარიშები, რაც გვხვდება ბანკის მიერ მიღებულ ამ ჩამორიცხვის თანხმობაში არ არიან შეცვანილი ზოლოს განახლებულ ავტორიზებული ხელმოწერების და ანგარიშების (როგორც ჩამორიცხვის ანგარიში) სიაში, მიჩნეული იქნება რომ ზემოთ მითითებული ჩამორიცხვის შეთავაზება არ გაკეთებულა.

ჩამორიცხვის ანგარიშზე (როგორც ეს აღწერილია ხელშეკრულებაში) უნდა მოხდეს ჩარიცხვა:

ჩამორიცხვის ანგარიში N°: .....

ჩამორიცხვის ანგარიშის მფლობელი/ მიმღები: .....

(გთხოვთ, მიუთითოთ IBAN ფორმატი, თუ ქვეყანა შედის SWIFT- ის მიერ გამოქვეყნებულ IBAN- ის რეესტრში, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილობრივი საბანკო პრაქტიკის შესაბამისად შესაბამისი ფორმა უნდა იყოს მითითებული)

ბანკის დასახელება და მისამართი: .....

ბანკის საიდენტიფიკაციო კოდი (BIC): .....

გადახდის დეტალები: .....

გთხოვთ, გადასცეთ ინფორმაცია შესაბამის:

მსესხებლის უფლებამოსილი ხელმოწერი (პირების) სახელი (ებ) ი (ფინანსური ხელშეკრულების შესაბამისად განსაზღვრული):

.....

მსესხებლის უფლებამოსილი ხელმოწერის (ხელმოწერების) ხელმოწერა (ფინანსური ხელშეკრულების შესაბამისად):

მსესხებლის სერთიფიკატის ფორმა (მუხლი 1.4.გ)

ვის:	ევროპის საინვესტიციო ბანკი
ვისგან:	საქართველო
თარიღი:	
საკითხი:	სერთიფიკატი ევროპის საინვესტიციო ბანკსა დასაქართველოს შორის ფინანსური ხელშეკრულებისთვის ("ფინანსური ხელშეკრულება") დათარიღებული ()
პროექტის სახელი:	ბოჭკოვანი ქსელი საქართველოს სოფლებისთვის ხელშეკრულების ნომერი: 92.411      ოპერაციისნომერი: 2020-0408

ბატონებო,

ფინანსურ ხელშეკრულებაში განმარტებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა რაც ამ წერილში გამოყენებულ ტერმინებს.

ფინანსური ხელშეკრულების მუხლი 1.4 მიზნებისათვის ჩვენ მაშასადამე ვადასტურებთ შემდეგს:

- (ა) არ არსებობს არანაირი აკრძალული უსაფრთხოება ან არ შეიქმნა 7.1 მუხლის შესაბამისად;
  - (ბ) არ ქონია ადგილი მნიშვნელოვან ცვლილებას პროექტის ნებისმიერ ასპექტთან მიმართებაში, ჩვენს მიერ წინა შეტყობინების შემდეგ, ან მუხლი 8.1 მიმართებაში, რომლის შესაბამისად ჩვენ ვალდებული ვართ წარმოვადგინოთ ანგარიში;
  - (გ) ჩვენ გაგვაჩნია საკმარისი სახსრები პროექტის დროულად განხორციელებისა და დასრულებისთვის განრიგი ა.1-ის შესაბამისად;
  - (დ) არ ქონია ადგილი შემთხვევას ან გარემოებას, რომელიც წარმოადგენს ან იქნება წარმოდგენილი დროთა განმავლობაში ან იძლევა შეტყობინებას ფინანსური კონტრაქტის ფარგლებში შეუსრულებლობის შესახებ, და გრძელდება გამოუსწორებლად და გადახდაზე თავის არიდებით.
  - (ე) არ მიმდინარეობს არბიტრაჟი, სასამართლო პროცესი, ადმინისტრაციული ღონისძიებები ან მიმდინარეობს გამოძიება საბოლოო მიმდების წინააღმდეგ, ნებისმიერი სასამართლოს, არბიტრაჟის ან სააგენტოს წინაშე რომელიც აისახა ან თუ უარყოფითადაა განსაზღვრული დასაბუთებულად მისალოდნელია აისახოს არსებითად უარყოფით ცვლილებაში, და არ არსებობს საბოლოო მიმდების წინააღმდეგ არადაამაკყოფილებელი სასამართლო გადაწყვეტილება ან განჩინება;
  - (ვ) მუხლი 6.11 შესაბამისად გაკეთებული წარმომადგენლობები და გარანტიები ყველა თვალსაზრისით სწორია;
  - (ზ) ადგილი არ ქონია არსებითად საზიანო ცვლილების შემთხვევას, ფინანსური ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს ჩვენს მდგომარეობასთან შედარებით.
  - (თ) ავტორიზებული ხელმომწერების და ანგარიშების უახლესი სია, რომელიც ბანკს გადაეცა მსესხებლის მიერ, არის განახლებული და ბანკი შეიძლება დაეყრდნოს მასში მითითებულ ინფორმაციას.
- ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, დაუყოვნებლივ შევატყობინოთ ბანკს, თუ ზემოაღნიშნული არ შეესაბამება სინამდვილეს ან სისწორეს შემოთავაზებული ტრანშის გაცემის თარიღისთვის.

პატივისცემით,

საქართველოსთვის და საქართველოს სახელით

თარიღი

საგარეო ურთიერთობების სამინისტრო  
საგარეო ურთიერთობების განყოფილება  
თბილისი, საქართველო

საგარეო ურთიერთობების რეგისტრაციის № 0201/1-21

თარიღი 26.11.2021წ.

დასტურებულია / CERTIFIED BY 5

Ministry of Foreign Affairs of Georgia  
TRANSLATION BUREAU  
of International Agreements of Georgia